პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 44-ე წელი
№ 271 (12783) | ხუთშაბათი, 21 ნოემბერი, 1963 წ. | ფასი 2 კაპ.

ქიმიის შეკვეთები — ვადამდე!

ჩარხმშენებლები — ქიმიკოსებს

თბილისის კიროვის სახელობის ქარხნის კოლექტივი უდიდესი კმაყოფილებით შეხვდა ცნობას სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მოწვევის შესახებ. ჩარხმშენებლებმა კიდევ უფრო გაძლიერეს შრომის ტემპი, რათა კიდევ უფრო დააჩქარონ ლითონდასამუშავებელი ჩარხების გამოშვება და დროულად გაუგზავნონ ჩარხები ქიმიურ ქარხნებს. ახლა თბილისელი ჩარხმშენებლები თავის პროდუქციას — სახარატო ხრახნსაჭრელ ჩარხებს ჩვენი ქვეყნის ქიმიური მრეწველობის 20-ზე მეტ საწარმოს უგზავნის.

ამ დღეებში ჩარხების დიდი პარტია გაეგზავნა კუიბიშევისა და რუბეჟნოეს ქიმიურ კომბინატებს, ხარკოვის ქიმიური მანქანათმშენებლობის ქარხანას, აგრეთვე სილიტორსკის კალიუმის ქარხანას, კიროველთა ჩარხებით ქიმიკოსები კმაყოფილი არიან.

აქვე აღსანიშნავია ის, რომ თბილისელმა ჩარხმშენებლებმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მოწვევის შესახებ ცნობის გამოქვეყნების დღისათვის შეასრულეს ქიმიური ქარხნებისა და კომბინატებისათვის ჩარხების გაგზავნის გეგმა.

ქარხნის კოლექტივი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე დადგა. ჩარხმშენებლებმა ერთსულოვნად გადაწყვიტეს წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით გამოუშვან და ჩვენი ქვეყნის ქიმიური მრეწველობის საწარმოებს გაუგზავნონ კიდევ რამდენიმე ჩარხი.

კაპრონისა და პლასტმასის ნაწილები

საქართველოს მანქანათმშენებელ მრეწველობაში ყოველწლიურად ფართოვდება ქიმიის გავლენის სფერო. ახლა მანქანათმშენებელ საწარმოებში ლითონის ნაწილების ნაცვლად აკეთებენ 800 დასახელების კაპრონისა და პლასტმასის ნაწილს. მარტო მიმდინარე წელს წარმოების მუშაკებმა ფოლადისა და თუჯის მაგივრად აითვისეს ქიმიური მასალის 35 დეტალი. კაპრონისა და სხვა სინთეზური მასალებისაგან დეტალების წარმოებამ ამ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში დაზოგა იმდენი ლითონი, რაც მანქანათმშენებელ საწარმოებს საშუალებას მისცემს გეგმის გადამეტებით გამოუშვან 45-50 მანქანა.

შრომითი საჩუქრები

ზეგეგმითი ელექტროენერგია

ტყვარჩელის რაიონული სახელმწიფო თბოელექტროსადგურის კოლექტივი სისტემატურად ზრდის იაფი ელექტროენერგიის გამომუშავებას. მიმდინარე წლის გასულ პერიოდში გამომუშავებულ იქნა ხუთი მილიონი კილოვატ-საათი ელექტროენერგია, რაც დავალებას აღემატება. გაწეულია საკუთარი მოხმარებისათვის გათვალისწინებული სათბობის ეკონომია, რამაც 10 თვეში 100 ტონაზე მეტი ქვანახშირი შეადგინა.

შრომატევადი პროცესების მექანიზაციისა და ტექნიკური სიახლეთა დანერგვის გზით ამაღლდა შრომის ნაყოფიერება და შემცირდა კილოვატ-საათი ელექტროენერგიის თვითღირებულება, მიღებულია 150 ათასი მანეთზე მეტი ეკონომია.

სადგურის კოლექტივი წარმატებით ეზადება თბოელექტროსადგურის იუბილესთვის, რომელსაც 25 დეკემბერს ამუშავების 25 წელი უსრულდება.

გ. მიქავა,
ტყვარჩელის რაიონული სახელმწიფო თბოელექტროსადგურის საწარმო-ტექნიკური განყოფილების უფროსი.

წლიური გეგმა შესრულებულია

ბოლნისი. (საკ. კორ.). საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში ახალ-ახალ წარმატებებს აღწევს ბოლნისის ბარიტის მაღაროთსამმართველოს კოლექტივი. აპ ბარიტის ამოღების წლიური გეგმა ჯერ კიდევ პირველი ნოემბრისათვის შეასრულეს. კარგი წარმატებები მოიპოვეს თვითღირებულების შემცირებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის საქმეშიც. თვითღირებულების შემცირებით მიღებულია 8 ათასი მანეთი ეკონომია.

არც მაღაროთსამმართველოს გამამდიდრებელი ფაბრიკა ანელებს ტემპებს. საწარმოს კოლექტივმა, რომელიც ბარიტის გამდიდრებაზე მუშაობს, 115 პროცენტით შეასრულა წლიური დავალება.

ამ დღეებში, როგორც მაღაროელებმა, ისე გამამდიდრებლებმა პირობა დადეს საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობის დღისათვის დამატებით ამოიღონ და გაამდიდრონ 2.500 ტონა ბარიტი.

ფეიქრების გამარჯვება

ცხაკაია. (საკ. კორ.). ცხაკაიას აბრეშუმის ხაოიანი ქსოვილების საქსოვი ფაბრიკის კოლექტივი ახალ საჩუქრებს უმზადებს საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობას. ფაბრიკამ 10 თვეში გეგმით გათვალისწინებული 1.400 ათასი მეტრი ქსოვილების ნაცვლად გამოუშვა 1.403 ათასი მეტრი ქსოვილი. ხამი პროდუქციის გამოშვების გეგმა შესრულდა 100,7 პროცენტით, მზა აბრეშუმის პროდუქციისა 103,3 პროცენტით.

ფეიქართა ახალი ვალდებულებაა წლიური გეგმა 20 დეკემბრისათვის შეასრულონ.

სუფრის მშვენება

ჩაქვი. (საკ. კორ.). ციხისძირის გორაკები დაფარულია ოქროსფერი ნარინჯებით. აქ ათობით ჰექტარი მანდარინი, ლიმონი და ფორთოხალი აქვთ გაშენებული. ციხისძირის საბჭოთა მეურნეობასა და კოლმეურნეობაში ბაღები ციტრუსოვანთა ნაყოფით არის დახუნძლული.

წელს დიდი შრომა გასწიეს, მზრუნველობა არ მოაკლეს ბაღებს და კარგი შედეგიც აქვთ. ციხისძირის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობამ გეგმით 700 ტონა ციტრუსი უნდა ჩაბაროს სახელმწიფოს. მაგრამ მეტს ფიქრობენ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრებით ციხისძირელებმა იკისრეს სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცენ 20 ათასი კილოგრამი ციტრუსოვანთა ნაყოფი. უკვე მოკრეფილია 125 ტონაზე მეტი.

მეაგურეები დაწინაურდნენ

გურჯაანი. (საკ. კორ.). გურჯაანის აგურ-კრამიტს ქარხნის კოლექტივი სასახელოდ ასრულებს საქართველოს კპ XXII ყრილობისადმი მიძღვნილი სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს. მეაგურეებმა ათ თვეში თორმეტი მილიონი ცალი წითელი აგური მისცეს მშენებლებს.

ყრილობის გახსნის დღისათვის გურჯაანელები წლიური გეგმის ზევით ხუთას ათას ცალ აგურს გამოუშვებენ.

კოლმეურნეთა პასუხი

კოლმეურნეობის მემინდვრეობის მერვე ბრიგადამ (ხელმძღვანელი ვ. ფინდიმეილი), რომელმაც წელს ჰექტარზე საშუალოდ 100 ცენტნერი სიმინდი მოიყვანა, იკისრა 1964 წელს სიმინდის მოსავალი საშუალოდ ჰექტარზე 150 ცენტნერამდე გაადიდოს.

სიღნაღელ მწოლიარეთა მოწოდების პასუხად ვალდებულებას ვკისრულობთ 1964 წელს სიმინდის ნათესი ფართობი 200 ჰექტარამდე გავზარდოთ და ჰექტარზე საშუალოდ 70 ცენტნერი სიმინდი მოვიყვანოთ მარცვლად ნაცვლად მიმდინარე წელს მიღებული 50 ცენტნერისა. ჰექტარზე საშუალოდ მივიღებთ 30 ცენტნერ ხორბალს.

შ. ეცადაშვილი,
გორის საწარმოო სამმართველოს სოფელ ფლავის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

კაპროლაქტამის საწარმოში

ერთი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხანაში მწყობრში ჩადგა კაპროლაქტამის საწარმო. ქიმიკოსებმა და მშენებლებმა ქართული კაპროლაქტამის დაბადება დიდი ოქტომბრის 46-ე წლისთავის დღესასწაულს მიუძღვნეს. ქიმიკოსები არ ანელებენ შრომის ტემპს. ისინი ახალ შრომითს საჩუქრებს უმზადებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმს და საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობას.

პლენუმის აღსანიშნავად კაპროლაქტამის საწარმოს კოლექტივმა მტკიცედ გადაწყვიტა პლენუმისათვის მზადების დღეებში სისტემატურად გამოუშვას 4-5 ტონით მეტი კაპროლაქტამი, ვიდრე ამჟამად უშვებს.

აზოტოვანი სასუქების ქარხანაში სხვა პროდუქციის გამოშვების გადიდებასთან ერთად ნოემბერში მკვეთრად გაიზარდა მინერალური სასუქების წარმოება.

* * *

სურათზე: მეხელსაწყოე ს. ნებუნიშვილი (მარჯვნივ) და უფროსი მეაპარატე მ. მაზიაშვილი კაპროლაქტამის წარმოების ანონის საამქროს დეპიდრირების კორპუსის მართვის პულტზე ტექნოლოგიური პროცესის რეჟიმის ჩაწერისას.

ფოტო ე. ლოლობერიძისა.

ვაშენოთ კაშხალები, საუკუნეებს რომ გაუძლოს

სრულიად საკავშირო თათბირი სამთო ჰიდროენერგეტიკისა და მაღალი კაშხალების შესახებ

19 ნოემბერს თბილისის ტექნიკის სახლის შენობაში მუშაობა დაიწყო სრულიად საკავშირო თათბირმა სამთო ჰიდროენერგეტიკისა და მაღალი კაშხალების შესახებ. თათბირი მოიწვიეს სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სახელმწიფო საწარმოო კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა საკოორდინაციო სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ, საქართველოს ა. ი. დიდებულიძის სახელობის ენერგეტიკის სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა, თბილისის ა. ვ. ვინტერის სახელობის ნაგებობათა და ჰიდროენერგეტიკის სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა, ენერგეტიკის მრეწველობის სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების მოსკოვის ცენტრალურმა საოლქო და საქართველოს რესპუბლიკურმა გამგეობებმა, ს. ი. ორჯონიკიძის სახელობის „ჰიდროპროექტის“ თბილისის განყოფილებამ.

თათბირი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ გ. ი. ჩოგოვაძემ.

თათბირის მონაწილეებმა დიდი ინტერესით მოისმინეს „ჰიდროპროექტის“ მთავარი ინჟინერის ნ. ვ. რაზინის მოხსენება „სსრ კავშირის ჰიდროენერგომშენებლობის განვითარების პერსპექტივების შესახებ“.

შემდეგ მიმოხილვითი მოხსენება გააკეთა საქართველოს ენერგეტიკის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა პ. გ. შენგელიამ.

მაღალი კაშხალების დაპროექტებისა და მშენებლობის მეცნიერული კვლევის ამოცანებს მიეძღვნა თბილისის ა. ვ. ვინტერის სახელობის ნაგებობათა და ჰიდროენერგეტიკის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილის, დოცენტ ლ. გ. გველესიანის გამოსვლა.

საქართველოს წყალსაცავიანი კაშხალების მშენებლობის დაპროექტებისა და მათი ექსპლოატაციის გამოცდილების შესახებ ილაპარაკა „თბილჰიდროპროექტის“ დირექტორმა დოცენტმა თ. გ. გეგელიამ.

საღამოს პლენარულმა სხდომამ მოისმინა ინჟინრების გ. ა. პრეტროს, გ. გ. ბაბელიანის, პ. პ. ლოსტროვას, დოცენტების ვ. მ. ლიპკინდისა და ა. კ. ტრეტიაკოვის მოხსენებანი.

თათბირი განაგრძობს მუშაობას. (საქ-დესი).

ახალი წიგნი

მოსკოვი. (საკადესის კორ.). „აზერბაიჯანული საბჭოთა ლიტერატურის ისტორიის ნარკვევები“ — ასე ეწოდება სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის მიერ გამოშვებულ წიგნს. ეს აზერბაიჯანული საბჭოთა ლიტერატურის ისტორიული განვითარების პირველი მიმოხილვაა რუსულ ენაზე. მისი ავტორები არიან ნიზამის სახელობის ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტისა და გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერები.

ეს ნაშრომი მკითხველებს აცნობს აზერბაიჯანის რესპუბლიკის ლიტერატურის განვითარების თავისებურ პროცესს გასული 46 წლის განმავლობაში. ავტორები განსაკუთრებულ ყურადღებას უმობენ ისეთ საკითხებს, როგორიცაა ხალხის ცხოვრებით წარმოშობილი ამოცანების მიხედვით ლიტერატურული თემატიკის გაფართოება, ახალი ჟანრების განვითარება, და, კერძოდ, რომანისა, პროგრესული ეროვნული ტრადიციებისა და ნოვატორობის შეხამება, რაც გამოწვეულია ახალი სოციალისტური ლიტერატურის მჩქეფარე განვითარებით.

მიმომხილველობით სტატიებთან ერთად საინტერესოა განყოფილებები, მიძღვნილი იმ აზერბაიჯანელი მწერლების შემოქმედებისადმი, რომლებმაც დიდი როლი შეასრულეს ახალი საბჭოთა ლიტერატურის შექმნაში — ჯ. ჯაბარლის, ს. ს. ახუნდოვის, ს. ჰუსეინის, მ. ს. ორდუბადის და სხვების შემოქმედებისადმი.

ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო

დანიის საგარეო საქმეთა მინისტრი პერ ჰეკერუპი

კიევი, 20 ნოემბერი. (საკდესი). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა, რომელიც აქ იმყოფება, მიიღო დანიის საგარეო საქმეთა მინისტრი პერ ჰეკერუპი.

ნ. ს. ხრუშჩოვსა და პ. ჰეკერუპს შორის გაიმართა საუბარი. საუბრის დროს, რომელმაც მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, შეეხნენ საბჭოთა კავშირ-დანიის ურთიერთობის საკითხებს, აგრეთვე ორივე მხარისათვის საინტერესო საერთაშორისო საკითხებს.

დანიის მთავრობის სახელით პ. ჰეკერუპმა კვლავ დაადასტურა ნ. ს. ხრუშჩოვისათვის წინათ გაგზავნილი მიწვევა ოფიციალურ ვიზიტად ჩავიდეს დანიაში და განაცხადა, რომ დანიის მთავრობა მოხარული იქნება, თუ საბჭოთა მთავრობის მეთაური ჩამოვა 1964 წლის ივნისში. ნ. ს. ხრუშჩოვმა მადლობა გადაიხადა თავაზიანი მიწვევისათვის.

საუბრის შემდეგ ნ. ს. ხრუშჩოვმა საუზმე გამართა დანიის საგარეო საქმეთა მინისტრის პატივსაცემად.

ფინეთის პრეზიდენტის უ. კ. კეკონენის ვიზიტის შესახებ სსრ კავშირში

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი უ. კ. კეკონენი არაოფიციალურ ვიზიტად მოიწვია საბჭოთა კავშირში.

პრეზიდენტმა უ. კ. კეკონენმა მადლობა მიიღო ეს მიწვევა და მოსკოვს ჩამოვა 30 ნოემბერს. პრეზიდენტთან ერთად ჩამოვა პირველი ადიუტანტი გენერალ-მაიორი კ. ო. ლეინონენი.

ასტრონომიული ცენტრი ჯიან-შანზე

ალმა-ათა, 20 ნოემბერი. (საკდესის კორ.). მზის სისტემის გიგანტების — იუპიტერის, ურანის, სატურნისა და ნეპტუნის საიდუმლოებას შეისწავლიან ტიან-შანზე. ზღვის დონიდან 1.450 მეტრის სიმაღლეზე იქმნება დიდი ასტრონომიული ცენტრი პლანეტებზე დაკვირვებისათვის. უკბახეთის მეცნიერებათა აკადემიის ასტროფიზიკის ინსტიტუტის ობსერვატორიის გვერდით აშენდა სპეციალური პავილიონი. აქ დადგმული იქნება სარკის სიმაღლეტო ტელესკოპი, რომელსაც აქვს მთავარისა და სიმაღლეტო ფოტოკამერა, ელექტროფოტომეტრი, სპექტოგრაფი და სხვა ხელსაწყოები, რომლებიც შესაძლებლობას შექმნიან დაწვრილებით იქნას შესწავლილი შორეული პლანეტების ზედაპირი.

ძმობის საფოსტო ჩანთა

ლონდონი, (საკდესის კორ. ა. ივანოვსკაია). საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა თავისუფლების კუნძულის მშრომელთა სარქანი — „კუბა-საბჭოთა კავშირის ძმობის საფოსტო ჩანთა“. ლენინგრადის ნავსადგურში თბომავალს „მარია ულიანოვა“, რომლითაც ჩამოვიდა დელეგაცია და ეს სარქანი ჩამოიტანა, ლენინის ქალაქის ასობით მეხოვრები შეხვდა.

„კუბა-საბჭოთა კავშირის ძმობის საფოსტო ჩანთაში“ 26 ათასი წერილი და სხვა დოკუმენტია, 2 ათასზე მეტი ნახატი და 8 ათასზე მეტი ხელსაქმის ნიმუში, სამკერდე ნიშანი, ღია ბარათი, რომლებიც კუბელებმა იმ დღეებში შეაგროვეს, როცა კუბის რევოლუციის ბელადი ფიდელ კასტრო რუსი საბჭოთა კავშირში იმყოფებოდა.

...თბომავალი ნაპირს მოადგა. გაისმის „26 ივლისის მარში“ და დემოკრატიული ახალგაზრდობის ჰიმნი.

საბჭოთა კავშირ-კუბის მეგობრობის მიტინგი გახსნა ლენინგრადის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ კ. ა. ეკლამპიევმა.

დელეგაციის ხელმძღვანელმა დიოსდადო გომესმა მიმართა ლენინგრადელებს და ილაპარაკა იმ აღფრთოვანებაზე, რომელსაც დელეგაციის წევრები გრძნობენ დიდი ლენინის ქალაქში ჩამოსვლის გამო.

ჩრდილოეთის გაზსადენი

სვერდლოვსკი. (საკდესის კორ.). წყლის პირველ დაბრკოლებას — მდინარე ივდელს გადაადგა ჩვენი ქვეყნის ყველაზე შორეული ჩრდილოეთის იგრიმ-სეროვის გაზსადენმა, რომლითაც უკვე 1965 წელს ტიუმენის ოლქიდან სამრეწველო ურალი მოვა გაზი. მშენებლებმა დაიწყეს მეორე მდინარის ლოზერის შტურმი, ხოლო წინ კიდევ ათობით სხვა წყლის დაბრკოლებაა.

ახალი გაზსადენის 500 კილომეტრზე მეტი სიგრძის ტრასა გადის ყრუ ტაიგიან და ძლიერ დაჭაობებულ მხარეში, სადაც გზები არ არის.

პირველი რიგის აგების შემდეგ, რომელიც გაზს მიაცემს სეროვის მეტალურგიულ კომბინატს, ცისფერი ცეცხლის ახალი გზა გაგრძელდება ნიჟნი ტაგილისა და სვერდლოვსკისაკენ.

ლ. ი. ბრეჟნევი ირანში

თეირანი, 20 ნოემბერი. (საკდესი). სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი და მისი თანმხლები პირები თეირანიდან შირაზს გაფრინდნენ.

ლ. ი. ბრეჟნევს თან ახლავს ირანის პრემიერ-მინისტრი ასადოლა ალამი.

შირაზი — ირანის ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქია. იგი მდებარეობს ირანის სამხრეთში. აქ დაიბადა მსოფლიოში სახელგანთქმული სპარსული პოეტი საადი. შირაზი ვაჭრობის, მეღვინეობის, აბრეშუმის ქსოვილების შინამრეწველურ-ხელოსნური წარმოების, მოზაიკის, ოქრომჭედლობის ცენტრია. ქალაქში არის საფეიქრო, შაქრისა და მრეწველობის სხვა დარგების საწარმოები.

საგჭოთა გეოდეზისტების დასკვნებით

ბაქო, 19 ნოემბერი. (საკდესის კორ.). ბაქოდან ირანში გაემგზავრა პირველი გეოდეზიური ექსპედიცია. ეგი აწარმოებს საძიებო სამუშაოებს სასაზღვრო მდინარე არაზის აუზში. სსრ კავშირისა და ირანის მთავრობათა შორის მიღწეული შეთანხმების შესაბამისად, აქ გათვალისწინებულია ელექტროსადგურების კასკადის, წყალსაცავისა და სხვა ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა მშენებლობა. ყველა სამუშაოებს ერთობლივად აწარმოებს საბჭოთა კავშირისა და ირანის მხარეები, ხოლო მშენებლობისათვის საჭირო მოწყობილობას საბჭოთა კავშირი მიაწვდის.

საპროექტო სამუშაოებს ახორციელებს სრულიად საკავშირო ინსტიტუტ „ჰიდროპროექტის“ ბაქოს ფილიალის კოლექტივი.

ბირველი საძიებო სამუშაოების განხორციელება გათვალისწინებულია აზერბაიჯანის სასაზღვრო ქალაქ ნახიჩევანს რაიონში მდინარე არაზის ორიგე ნაპირზე.

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმში

ახალი დიდი ამოცანები

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება — პროფკავშირულ ორგანიზაციათა ამოცანები სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წერილის გამო „მარცვლეულისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდებისთვის მინერალური სასუქებისა და მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებების წარმოების გადიდების შესახებ“.

ამაში დიდი როლი უნდა შეასრულონ პროფკავშირთა საბჭოებმა, პროფესიულ კავშირთა კომიტეტებმა. საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა წინადადება მისცა მათ ფართო და აქტიური მონაწილეობა მიაღებინონ საწარმოთა, მშენებლობათა, საპროექტო ორგანიზაციათა და სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტთა კოლექტივებს სოფლის მეურნეობისათვის მინერალური სასუქების, ჰერბიციდების, შხამქიმიკატებისა და სხვა ქიმიური პროდუქტების წარმოების გადიდების პროგრამის განხორციელებაში, რომელსაც პარტია და მთავრობა სახავენ.

პროფკავშირული ორგანიზაციები ვალდებული არიან ფართოდ გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება მინერალური სასუქების, მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებებისა და გოგირდმჟავას ახალ საწარმოთა და წარმოებათა მშენებლობისა და საექსპლოატაციოდ გადაცემის ვადების შემცირებისათვის. ამ შეჯიბრების დროს საჭიროა ბრძოლა მოქმედი საწარმოებისა, საწარმოო ფართობებისა და მოწყობილობის უკეთ გამოყენებისათვის, ქიმიური მრეწველობისთვის მოწყობილობის დამზადების შეკვეთების ვადამდე და ხარისხიანად შესრულებისათვის.

დადგენილებაში გამსაზღვრულია პროფკავშირულ ორგანიზაციათა ისეთი ამოცანები, როგორიც არის ქიმიის საწარმოთა მშენებლობისადმი ახალ სამძლავრეთა და ტექნოლოგიურ პროცესთა ათვისებისადმი. საზოგადოებრივი კონტროლის გაძლიერება, მოწინავე გამოცდილების გავრცელება. (საკდესი).

ბოლო უნდა მოეღოს აპარტეიდის პოლიტიკას

ნიუ-იორკი, 20 ნოემბერი. (საკდესი). აფრიკის 32 ქვეყნის წარმომადგენლებმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გუშინ ოფიციალურად მოითხოვეს სასწრაფოდ მოიწვიოს უშიშროების საბჭო, რათა განიხილოს აპარტეიდის პოლიტიკა, რომელსაც სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მთავრობა ახორციელებს.

უშიშროების საბჭომ უნდა განსაზღვროს, რა სანქციები მიიღოს ფერვურდის მთავრობის მიმართ იმასთან დაკავშირებით, რომ იგი დაჟინებით უარს ამბობს შეასრულოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეზოლუციები აპარტეიდის პოლიტიკის წინააღმდეგ.

ჰარიმანს ცივად შეხვდნენ

რიო-დე-ჟანეირო, 20 ნოემბერი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენელი სახელმწიფო მდივნის მოადგილე პოლიტიკურ საკითხებში ჰარიმანი, რომელიც აქ იმყოფება, შეხვდა რესპუბლიკის პრეზიდენტ ჟოაო გულარტს და საგარეო საქმეთა მინისტრს არაუეო კასტროს. ადგილობრივი პრესის განცხადებით შეხვედრა არ იყო მაინც და მაინც მეგობრული. ჰარიმანი, დაჟინებით მოითხოვდა, რომ ბრაზილიამ არ გამოიყენოს კანონი იმის შესახებ, რომ უცხოეთის კომპანიებმა შეამცირონ მოგებათა გზავნა საზღვარგარეთ, რომელიც დამატეა ბრაზილიის ეროვნულმა კონგრესმა. ჰარიმანმა გაილაშქრა იმის წინააღმდეგ, რომ დაწესონ ნავთობის იმპორტის სახელმწიფო მონოპოლიათ და აგრეთვე ბრაზილიის მიერ წამოყენებული იმ პირობების წინააღმდეგ, რომ სახელმწიფოს ხელში გადავიდეს უცხოეთის ისეთი კერძო კომპანიები, როგორიც არის ელექტროტრესტების „ამერიკან ენდ ფორინ პაუერისა“ და „ბონდ ენდ შეირის“ ფილიალები.

როგორც გაზეთი „დიარიო დე ნოტისიასი“ აღნიშნავს გულარტმა უარყო ყველა ეს პრეტენზია, რადგან არ შეესაბამება ბრაზილიის ეკონომიკის ინტერესებს და ლახავს ბრაზილიის სუვერენიტეტს. შემდეგ მან ილაპარაკა ამერიკის შეერთებული შტატების ისეთ მტრულ მოქმედებაზე, როგორიც არის დანაპირები კრედიტების მიცემის შეჩერება, ამერიკის შეერთებულ შტატებში ბრაზილიის ექსპორტის ძირითადი პროდუქტების ფასების განუწყვეტელი შემცირება, აგრეთვე იმაზე, რომ უარყოფითი შედეგები მოჰყვა „პროგრესისთვის კავშირის“ პროგრამის გამოყენებას.

დ. არაყიშვილის იუბილესათვის

ქართული მუსიკალური კულტურის გამოჩენილი მოღვაწე, მუსიკისმცოდნე-ეთნოგრაფი, კომპოზიტორი დიმიტრი არაყიშვილი ეროვნული საკომპოზიტორო სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელია.

1964 წლის იანვარში ქართველი ხალხი აღნიშნავს დ. არაყიშვილის დაბადების 90 წლისთავს.

რესპუბლიკის კომპოზიტორთა კავშირში შეიქმნა საიუბილეო კომისია. კომისიის თავმჯდომარეა სსრ კავშირის სახალხო არტისტი, საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარე ა. მაჭავარიანი. კომისიის შემადგენლობაში შედიან: მუსიკის მცოდნეები ა. წულუკიძე (თავმჯდომარის მოადგილე) და ვ. დონაძე, საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის მოადგილე ა. დვალიშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის იდეოლოგიური განყოფილების გამგის მოადგილე ნ. ჩერქეზიშვილი, საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მდივანი ე. სალუქვაძე, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ა. მელაძე, ბაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორი დ. მჭედლიშვილი, სსრ კავშირის სახალხო მხატვარი უ. ჯაფარიძე, ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ რედაქტორი ო. ეგაძე, კრიტიკოსი ბ. ულენტი, გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქტორი ი. ჩხეიძეშვილი, კომპოზიტორები ა. ჩიმაკაძე, შ. მშველიძე, ა. ბალანჩივაძე, ო. თაქთაქიშვილი და შ. მილორავა. (საქდესი).

საიდუმლო თათბირი

ნიუ-იორკი, 20 ნოემბერი. (საკდესი). დღეს ჰონოლულუში დაიწყო საიდუმლო თათბირი საკითხზე: „ამერიკის შეერთებული შტატების ახალი — გაერთიანებული — დიპლომატიური და სამხედრო სტრატეგია სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში“, იუწყება იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის საგენტოს კორესპონდენტი.

თათბირში მონაწილეობას იღებენ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი დინ რასკი, თავდაცვის მინისტრი რობერტ მაკნამარა, შტაბების უფროსთა კომიტეტის თავმჯდომარე მაქსუელ ტეილორი.

მინისტრები თათბირობენ

პარიზი, 20 ნოემბერი, (საკდესი). აქ მიმდინარეობს ეკონომიური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (რომელშიც შედიან დასავლეთ ევროპის 18 ქვეყანა, ამერიკის შეერთებული შტატები და კანადა) მინისტრების საბჭოს მორიგი ყოველწლიური სესია. სესიის მუშაობაში მთავარია გამოარკვიონ ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოს თვალსაზრისი ეკონომიური, სავაჭრო, საფინანსო ხასიათისა და ბაეის სხვადასხვა საკითხზე. თავიდანვე სესიის მონაწილეებმა უარი თქვეს აღმოსავლეთისა და დასავლეთის სავაჭრო ურთიერთობის განხილვაზე.

სესიის მუშაობაში საკმაოდ დიდი ადგილი უკავია აგრეთვე განვითარების გზაზე მდგომი ქვეყნებისათვის ეგრეთწოდებული „დახმარების“ გაწევის საკითხებს.

ჯოუ ენ ლაის მიიღო საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მეგობრობის საზოგადოების დელეგაცია

პეკინი, 20 ნოემბერი. (საკდესი). როგორც სინხუა ააგენტო იუწყება, დღეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერმა ჯოუ ენ-ლაიმ მიიღო საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მეგობრობის საზოგადოების დელეგაციის წევრები რუსეთის სფსრ განათლების მინისტრის ვ. ი. აფანასენკოს მეთაურობით და მეგობრულად ესაუბრა მათ.

მიღებას დაესწრო აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ს. ვ. ჩერვონენკო.

საიდუმლო თათბირი

ნიუ-იორკი, 20 ნოემბერი. (საკდესი). დღეს ჰონოლულუში დაიწყო საიდუმლო თათბირი საკითხზე: „ამერიკის შეერთებული შტატების ახალი — გაერთიანებული — დიპლომატიური და სამხედრო სტრატეგია სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში“, იუწყება იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის საგენტოს კორესპონდენტი.

თათბირში მონაწილეობას იღებენ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი დინ რასკი, თავდაცვის მინისტრი რობერტ მაკნამარა, შტაბების უფროსთა კომიტეტის თავმჯდომარე მაქსუელ ტეილორი.



პარტიული კომიტეტები და ტექნიკური პროგრესი

პარტიული ცხოვრება

კომუნისტები მსჯელობენ გამოუყენებელ რეზერვებზე

• საქართველოს კპ ჭიათურის საქალაქო ორგანიზაციის კონფერენციაზე •

თავიანთ პარტიულ კონფერენციაზე მოვიდნენ ზალაროელი და მშენებელი დელეგატები, წარმოების ნოვატორები, ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები. მოვიდნენ ისინი, რომ განიხილონ, თუ როგორ იბრძვის ჭიათურის საქალაქო პარტიული ორგანიზაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1962 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, რა კეთილსაყოფილი გავლენა იქონია პარტიული ხელმძღვანელობის სტრუქტურის გარდაქმნამ სამეურნეო საქმიანობაზე, პირუთვნელად ამხილონ ნაკლოვანებანი, დასახონ მათი გამოსწორების გზები.

— სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებების შემდეგ—თქვა მომხსენებელმა პარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ზ. პატარიძემ, — საქალაქო კომიტეტი და საწარმოთა პარტიული ორგანიზაციები უფრო ღრმად ჩასწვდნენ წარმოების ეკონომიკას, ახლოს მივიდნენ ადამიანებთან, გაიგეს მათი ფიქრები და მისწრაფებები. ფართო გასაქანი მიეცა მასების შემოქმედებითს ინიციატივას. ამას დაეკვემდებარა მთელი იდეოლოგიური და ორგანიზატორული მუშაობა.

შედეგებიც თვალსაჩინოა. ჭიათურელმა მაღაროელებმა ახალი შემართებით დაიწყეს შვიდწლედის მეხუთე წელი. მათ სამივე კვარტალის შედეგების მიხედვით სამჯერ მოიპოვეს რესპუბლიკური პირველობა, მტკიცედ ინარჩუნებენ საქართველოს პროფსაბჭოსა და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს გარდამავალ წითელ დროშას.

ტექნიკისა და წარმოების რეზერვების უკეთ გამოყენებით მიღწეული მარგანეცის თვითღირებულების შემცირება. საკმარისია ითქვას, რომ ჭიათურელმა მაღაროელებმა ათ თვეში პროდუქციის გაიაფებით 1.173.600 მანეთი დაზოგეს. მაღალნაყოფიერად მუშაობენ ლენინის სახელობის, ახალი ითხვისის მაღაროებისა და ცენტრალური დამყვანი ფაბრიკის კოლექტივები, რომლებმაც უკვე შეასრულეს წლიური გეგმები და 1964 წლის ანგარიშში მეტალურგიულ ქარხნებს მარგანეცით დატვირთული ათობით ეშელონი გაუგზავნეს. ცუდად არც პერეკვისისა და ორჯონიკიძის სახელობის მაღაროთა კოლექტივები მუშაობენ.

წარმატებები უდავოა, მაგრამ არის ნაკლოვანებებიც. ჯერ კიდევ სრულად როდია გამოყენებული შრომის ნაყოფიერების ზრდისა და თვითღირებულების შემცირების ყველა რეზერვი.

მაგალითად, მარგანეცის ტრესტში შემავალი 48 საწარმოო უბნიდან დაავალეს 25 უბანი ვერ ასრულებს. დიმიტროვის სახელობის მაღაროში რვა უბანია, და გაუმართლებელია, რომ ვერც ერთი გეგმას ვერ ასრულებს. ასევე ითქმის კალინინის სახელობის მაღაროზეც. მაღაროთა ზეგნებზე ფართოდ იყენებენ მარგანეცის ღია სამუშაოებით მოპოვების მეთოდს, რომელიც ძალიან რენტაბელურია. მაგრამ სრულიად არ ზრუნავენ ნიადაგის აღდგენაზე, რაც ყოველად დაუშვებელია.

პოლიტიკური-აღმზრდელობითი უშაობის სისუსტითა და მუშათა საყოფაცხოვრებო პირობებზე ნაკლებად ზრუნვით აიხსნება, რომ დიდია შრომის დისციპლინის დამრღვევთა რიცხვი. ათ თვეში შრომის დისციპლინა დაარღვია 3.994 კაცმა. ეს სამარცხვინოა. აქედანაც ჩანს, რომ მეტი უნდა ვიფიქროთ ახალი ადამიანის აღზრდა-ჩამოყალიბებაზე. მომავალში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შრომისა და უშიშროების ტექნიკის დაცვას, წარმოებაში მეცნიერებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვას, კადრების შერჩევა-დაწინაურებას.

მომხსენებელმა და მოკამათეებმა ბევრი კრიტიკული მოსაზრება გამოთქვეს მშენებელთა მისამართით. ჭიათურელმა მშენებლებმა მართალია რამდენიმე საკავშირო განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ობიექტი ააშენეს, მათ წელს უნდა დაამთავრონ ზედა რგანისა და მერევის ახალი მაღაროები, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მშენებლობებია, მაგრამ მშენებლებს ყველაფერი რიგზე როდი აქვთ. ასამუშავებელ ობიექტებზე არ იგრძნობა დარაზმულობა, ერთსულოვნება. მშენებლობის ტრესტმა ათი თვის დავალება მხოლოდ 77 პროცენტით შეასრულა. აქ ყველა სამმართველო ჩამორჩება. დიდი და სამართლიანი საყვედურები გაისმის ბინათმშენებლების მიმართ, რომლებიც არც ხარისხს იცავენ და საცხოვრებელ ბინებსაც ხშირად დაუმთავრებელს ტოვებენ.

მშენებლობათა ხელმძღვანელები ნაკლებად ფიქრობენ მშენებელთა საჭიროებებსა და აღზრდაზე. ამის გამო ირღვევა შრომის დისციპლინა, მოუწესრიგებელია შრომა, არ ინერგება შრომის პროგრესული მეთოდები.

კონფერენციაზე ბევრი რამ ითქვა პარტიულ-პოლიტიკური და იდეოლოგიური მუშაობის გაუმჯობესების, ადამიანებზე ყოველდღიური ზრუნვის საკითხებზე, მათდამი გულისხმიერებაზე.

ახალი ითხვისის მაღაროს კომუნისტური შრომის კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა **გ. ბაკრაძემ** დელეგატებს მოუთხრო, თუ როგორ დააღწია მაღაროს კოლექტივმა თავი ჩამორჩენას, და მარგანეცის ტრესტის ხელმძღვანელებისაგან მოითხოვა მეტი კონკრეტული დახმარება.

შრომითი და საწარმოო დისციპლინის განმტკიცების, მადნის დანაკარგების შემცირების, მშენებლობის დაჩქარებისა და ხარისხის გაუმჯობესების აუცილებლობაზე ილაპარაკეს მარგანეცის ტრესტის მმართველმა **ლ. გოშხოლელიანმა** და შავი მეტალურგიის მუშათა პროფკავშირის ჭიათურის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარემ **ბ. გამყრელიძემ.**

მაღაროელ მშენებელთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მტკივნეული საკითხები დააყენეს კონფერენციაზე დიმიტროვის სახელობის მაღაროს მოწინავე მებიგემ **ბ. აბრამაშვილმა** და წარჩინებულმა მშენებელმა **ა. კუტალაძემ.**

კამათში მონაწილეობა მიიღეს ავრეთვე ლენინის სახელობის მაღაროს დირექტორმა **ლ. ჩხაიძემ,** კალინინის სახელობის მაღაროს პარტბიუროს მდივანმა **ა. კავთელაძემ,** კომკავშრის საქალაქო კომიტეტის მდივანმა **ჯ. გურულმა,** მარგანმშენის ტრესტის მმართველმა **გ. შანიძემ,** ბინათმშენებლობის სამმართველოს უფროსმა **შ. ნოზაძემ** და სხვებმა.

კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მრეწველობისა და მშენებლობის ხელმძღვანელობის ბიუროს თავმჯდომარის მოადგილე **შ. ბეზარაშვილი.**

კონფერენციამ მიიღო დადგენილება და აირჩია საქართველოს კპ XXII ყრილობის დელეგატები.

ჯ. ჭიოკაძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

საწარმოთა მაჯისცემა

კასპის სამრეწველო-საწარმოო ზონის პარტიული კონფერენცია

ამ დღეს თითქოს ამინდიც თანაუგრძნობდა კომუნისტების ფორუმს. შემოდგომის თბილი მზის სხივები უსვამდ ეფრქვეოდა ფართო კორპუსებს, გუოლმკერდგახსნილ კირქვის მთებს, საპაყარო-სამაგირო გზებზე მოსრიალე ნედლეულით დატვირთულ ურიკებს. მძიმედ ბრუნავენ ანთებული ღუმელები, მშვიდად ბოლავენ საკვამლე მილები. შესაცქერი ამას და თითქოს გრძნობ მთელი სამრეწველო-საწარმოო ზონის მძლავრ მაჯისცემას. ვინ არიან მისი მამოძრავებელნი, მისი სისხლი და გული? კომუნისტები, ზონის პარტიული ორგანიზაცია!

დღეს ისინი მოვიდნენ პარტიულ კონფერენციაზე წარმატებითა და მიღწევებით, ამასთანავე ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობის გრძნობით.

რა გავაკეთეთ, რა არის მიზეზი ზონის ზოგიერთი საწარმოს ჩამორჩენისა? როგორ შეიძლება ნაკლოვანებათა დაძლევა? რა ღონისძიებების გატარებაა საჭირო სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა წარმატებით შესასრულებლად? ეს საკითხები, რომელთა ირგვლივ კონფერენციის ტრიბუნიდან საქმიანად მსჯელობდნენ დელეგატები.

მომხსენებელმა, კასპის სამრეწველო-საწარმოო პარტიული კომიტეტის მდივანმა **ბ. გეჯაძემ** ხაზი გაუსვა, რომ პარტიული ორგანოების სტრუქტურის გარდაქმნით, რაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებით განხორციელდა, პარტიული ხელმძღვანელობა დაუახლოვდა წარმოებას. ამას თვალნათლივ ადასტურებს საწარმოთა მუშაობის შედეგები.

ზონის მრეწველობამ საერთო პროდუქციის გამოშვების საში კვარტალის გეგმა 101,6 პროცენტით შეასრულა. მიმდინარე წლის პირველი კვარტალის მაჩვენებლებით ზონაში შვიდი საწარმო, ხუთი ავტოსატრანსპორტო კანტორა და ორი საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი ვერ ასრულებდა გეგმებს. ასლა ჩამორჩენასა თავი დააღწია ხუთმა საწარმომ, საყოფაცხოვრებო მომსახურების ორივე კომბინატმა და სამმა ავტოსატრანსპორტო კანტორამ. ამაღლდა შრომის ნაყოფიერებაც. პირველ კვარტალში შრომის ნაყოფიერების ზრდის დაგალებას თუ ცხრა საწარმო ვერ ასრულებდა, ცხრა თვის მაჩვენებლებით ასეთ საწარმოთა რიცხვი ოთხამდე შემცირდა. საერთოდ ზონის საწარმოებში შრომის ნაყოფიერება 0,3 პროცენტით გაიზარდა.

საყურადღებო იყო ცემენტის ქარხნის დირექტორის **ვ. პაპიაშვილისა** და ამავე ქარხნის მუშის **შ. ბუდაღაშვილის** გამოსვლები. მათ აღნიშნეს, რომ ქარხანამ საერთო პროდუქციის გამოშვების დაკალება დიდი გადაკრებით შეასრულა. შიფერის საამქრო დეკემბრის ანგარიშში იძლევა პროდუქციას. ხოლო წიდა-ბლოკების საამქრო—1964 წლის ანგარიშში მუშაობს. ამასთან ილაპარაკეს იმ მიზეზებზე, რომლებიც ხელს უშლის ქარხანას ცემენტის ასორტიმენტის მისეფდით გეგმის შესრულებაში. ამაში მარტო კასპელი მეცემენტეები როდი არიან დამნაშავენი. ქარხანა საკმაოდ ვერ მარაგდება კირქვით.

კონფერენციაზე დიდი ადგილი დაეთმო ტექნიკური პროგრესის საკითხებს. მომხსენებელმა და დელეგატებმა მოიყვანეს არაერთი მაგალითი წარმოებაში სიახლის დანერგვისა, რიითაც ამაღლდა პროდუქციის ხარისხი და შემცირდა თვითღირებულება. ასლის ფასი და ყაღრი კარგად იციან ცემენტის ქარხნის, მეტეხის საშენ მასალათა კომბინატის, ელექტროაპარატურის ქარხნის და ზოგიერთ სხვა საწარმოში. მათი პირველადი პარტორგანიზაციების ათვის ტექნიკური პროგრესი უმნიშვნელოვანესი და ღვიძლი საქმეა. ცემენტის ქარხანაში ამუშავებულ იქნა 100 კუბური მეტრი წარმადობის კომპრესორი. ამან დიდად შეუწყო ხელი შლამის მომზადებას და მისი ხარისხის გაუმჯობესებას.

მრავალფეროვან და საქმიან მუშაობას ეწევიან გამომგონებლები და რაციონალიზატორები. ამ საქმის ინიციატორები პირველ რიგში კომუნისტები არიან. ცხრა თვეში ზონის საწარმოებში შემოსული 95 რაციონალიზატორული წინადადებიდან დანერგილია 72 წინადადება, რომელთა წლიური ეკონომია 100 ათას მანეთს აღემატება.

მეტეხის საშენ მასალათა კომბინატის დირექტორმა **ი. ვოლობუევმა,** კავთისხევის კირქვის კარიერის მთავარმა ინჟინერმა **გ. გამყრელიძემ,** მტკვრის № 1 კასკადის პარტბიუროს მდივანმა **ტ. ხაბეიშვილმა** და სხვებმა კონფერენციას მოუთხრეს იმ სიახლეებზე, რომლებიც წარმოებაში დაინერგა. მეტეხის საშენ მასალათა კომბინატში საეპსლოატაციოდ გადაეცა მეხუთე ახალი ღუმელი, რითაც აგურის გამოწვა წელიწადში 12-15 მილიონი ცალით გაიზარდა. აქვე მწყობრში ჩადგა მეორე საშრობი დოლი. ამუშავდა მესამე ახალი კარიერი. კავთისხევის კირქვის კარიერის მეორადი მსხვრევის სარდაფში რეკონსტრუირებულ იქნა ჰორიზონტალური ტრანსპორტიორი, რის შედეგადაც მოისპო მტვრიანობა. გაუმჯობესდა შრომის პირობები.

— სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმმა, — აღნიშნავდნენ დელეგატები, — რომელმაც პარტიის იდეოლოგიური მუშაობის ამოცანები განიხილა, დიდი ყურადღება დაუთმო ახალი ადამიანის აღზრდას, მასში კომუნისტური შრომის ჩვეულების გამომუშავებას. ზონის საწარმოებში კომუნისტური შრომის საპატიო სახელის მოპოვებისათვის იბრძვის ხუთი საამქრო, თერთმეტი ცალა, ოცდათექვსმეტი ბრიგადა, ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის კოლექტივი. ამასთან კომუნისტური შრომის დამკვიდრების ოქროების მოსაპოვებლად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულია ასობით მუშა.

ქალაქის კეთილმოწყობასა და მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაზე გაამახვილეს ყურადღება თავიანთ გამოსვლებში საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ **თ. პაპიაშვილმა** და რკინიგზის მცხეთის სადგურის პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფის თავმჯდომარემ **ლ. შარიფაშვილმა.**

პარტიის XXII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულება, ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, ადამიანის შრომითი აღზრდა, მისი იდეური წრთობა! — აი ღონისძიებანი, რომელიც დასახა კონფერენციამ.

კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე **ამხ. გ. ი. ჩოგოვაძე.**

არჩეულ იქნენ საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობის დელეგატები.

მ. ხეთაგური,
„კომუნისტის" საკ. კორ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

ქიმია აგრონომის შენიშვნები და ციტრუსები

ქიმია ახლა ყველგან იჭრება, საბალხო მეურნეობის თითქმის ყველა დარგს მოიცავს. სოფლის მეურნეობაში ქიმიას ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავია. უმისოდ ძნელია სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდებაზე ფიქრი.

ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობა მრავალდარგოვანია. მეჩაიეობასა, მევენახეობასა და მეშინდვრეობასთან ერთად რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი მეციტრუსეობას უკავია. მაგრამ პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ამ ბოლო წლებში ციტრუსების მოვლა-პატრონობის საქმეში უკანა პლანზე გადაიწია ქიმიურმა წამლობამ. სწორედ ამიტომ არის, რომ ზოგიერთ რაიონში გავრცელდა მავნებლები, რომლებიც დიდ ზიანს აყენებენ ნარინჯოვნებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომავალ პლენუმზე სწორედ ქიმიის შემდგომი განვითარების საკითხია დაყენებული დღის წესრიგში. მეციტრუსეთა ამოცანაა, რომ პარტიის ამ მზრუნველობას საქმით უპასუხონ, დასახონ ქმედითი ღონისძიებანი, მოიშველიონ ქიმიის მეცნიერების მიღწევები და საქმე ისე წარმართონ, რომ უახლოეს დროში ციტრუსოვნებში ადგილი არ ექნეს დაავადებას. მხოლოდ ამ გზით გაიზრდება მოსავლიანობა.

ციტრუსების, მავნებელთა შორის ახლა ხაშიშია ფართოთეთრა, რომელიც აჭარის ზოგიერთ რაიონში შეიმჩნევა. გარდა ციტრუსებისა, ჩვენს პირობებში ფართოთეთრა ვითარდება ხურმაზე, ტრიფოლეაკაზე, კვიდოზე (ლიგუსტრუმი) და იასამანზე. ამიტომ ამ მავნებლის წინააღმდეგ ციტრუსების წამლობის დროს ზედმიწევნით უნდა დამუშავდეს დასახელებული მცენარეებიც.

ფართოთეთრა წელიწადში სამ თაობას იძლევა. გვიან შემოდგომიდან დაწყებული ადრე გაზაფხულამდე მავნებელი მხოლოდ მატლის ფაზაშია. ამიტომ ამ პერიოდში ჩატარებული ღონისძიება გაცილებით უფრო ეფექტურია. ამასთან ბრძოლის ეს პერიოდი ხანგრძლივია და სხვა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებთან არ არის გადაკვეთილი.

ჩვენმა სამეცნიერო-საკვლევმა ორგანიზაციებმა დიდი მუშაობა გასწიეს, რომ შეემუშავებინათ და წარმოებისათვის მიეცათ ციტრუსოვანთა ფართოთეთრასთან ბრძოლის ისეთი ეფექტური ქიმიური ღონისძიება, რომელიც შევიდოდა ციტრუსოვანთა კულტურების მავნებლებისა და ავადმყოფობების წინააღმდეგ ბრძოლის საერთო სისტემაში.

არსებულ ღონისძიებათა სისტემის მიხედვით წლის განმავლობაში **ციტრუსოვანთა ფართოთეთრას წინააღმდეგ ტარდება ნარგაობის სამჯერადი ძიმიური დამუშავება:**

პირველი — ნაყოფის მოკრეფიდან გაზაფხულის ვეგეტაციის დაწყებამდე მოზამთრე მატლების წინააღმდეგ ბრძოლა წარმოებს ნავთობის ზეთის კონცენტრატის 2-პროცენტიანი ემულსიისა და თიოფოსის კონცენტრატის 0,15-პროცენტიანი ემულსიის კომბინირებული ნაზავით.

მეორე — ივნისში პირველი თაობის მატლების მასობრივად გამოჩეკისას პრეპარატ „როგორის" 0,2-პროცენტიანი ემულსიით, ან ტრანსფორმატორული ზეთის კონცენტრატის 1-პროცენტიანი ემულსიით. უმჯობესია ამ ორი პრეპარატის კომბინირებულად გამოყენება. მათი პროცენტული შეფარდება ნაზავში იგივე იქნება, რაც ცალცალკე ხმარების დროს. პრეპარატი „როგორი," გარდა მატლებისა, კვერცხებზეც მოქმედებს.

მესამე — სექტემბრის მეორე ნახევრიდან ნაყოფის შეფერვის დაწყებამდე, მატლების საწინააღმდეგოდ და მცენარეების სიშავისაგან გასაწმენდად, ტრანსფორმატორული ზეთის კონცენტრატის 1-პროცენტიანი ემულსიისა და თიოფოსის კონცენტრატის 0,2-პროცენტიანი ემულსიის კომბინირებული ნაზავით. ეს წამლობა განსაკუთრებით იმიტომ არის საყურადღებო, რომ მავნებლის მნიშვნელოვანი ნაოდენობით განადგურებასთან ერთად ზეთი ასუფთავებს ნაყოფს და ამით მკვეთრად მცირდება წუნი.

ხურმაზე, ტრიფოლეაკის ცოცხალ ღობეებზე, კვიდოზე და სხვა მცენარეებზე, გარდა ამ ღონისძიებებისა, გაზაფხულზე, მავნებლის ზრდასრული მწერის გამოფრენის პერიოდში, ტარდება აგრეთვე 20-პროცენტიანი „დდტ"-ს კონცენტრატის 1-პროცენტიანი ემულსიით ორჯერადი შესხურება.

ფრთათეთრას წინააღმდეგ ბრძოლის ქიმიური ღონისძიებანი ამავე დროს მიმართულია ციტრუსოვანთა სხვა მთელი რიგი მავნებლების წინააღმდეგაც.

კომბინირებულ ნაზავებს ყველა შემთხვევაში ემატება ციტრუსოვანი კულტურების დაავადებათა საწინააღმდეგო საშუალება — პრეპარატი „ტმთდ" 0,5 პროცენტის რაოდენობით. ნაზავის დასამზადებლად ნავთობის ზეთის კონცენტრატის გარკვეულ წონით რაოდენობას ცოტ-ცოტაობით ასხამენ წყალს და თქვეფენ, სანამ ერთგვაროვან მოძრავ მასას მიიღებდნენ. ასეთივე წესით ამზადებენ ცალკე ჭურჭელში პრეპარატ „ტმთდ"-ს, რის შემდეგაც ორივე შხამქიმიკატს ერთმანეთში ურევენ და მუდმივი რევით უმატებენ მას დანარჩენ წყალს და ძიოფოსის კონცენტრატის საჭირო ოდენობას.

ციტრუსოვანთა ფართოთეთრას წინააღმდეგ გამოსაყენებელი პრეპარატები კონტაქტური მოქმედების შხამებია, ე. ი. მავნებლებზე მოქმედებენ მხოლოდ მოხვდრის შემთხვევაში. ამიტომ მცენარეს ისე უნდა შესხურდეს, რომ ფოთლები კარგად დასველდეს ქვედა მხრიდან.

წამლობა უნდა ჩატარდეს ერთდროულად როგორც განსაზოგადოებულ მასივებში, ისე საკარმიდამო ნაკვეთებზე აგროვადებში.

წამლობის დროს ზედმიწევნით უნდა დავიცვათ ნაზავის დამზადების და მისი შესხურების წესები. წინაღმდეგ შემთხვევაში ბრძოლა უშედეგო იქნება.

უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში და სხვა ორგანიზაციებში ციტრუსოვანთა ფართოთეთრასთან ბრძოლის საქმეს ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა. დიდი რაოდენობით რჩება შეუწამლავი ციტრუსოვანი ნარგაობა საკარმიდამო ნაკვეთებზე, ტრიფოლეაკის ცოცხალი ღობეები, ხურმა, კვიდო და სხვა მცენარეები, საიდანაც მავნებელი ისევ გადადის შეწამლულ მცენარეებზე.

მეურნეობის დირექტორები, ნაცვლად იმისა, რომ პირადად ხელმძღვანელობდნენ ფრთათეთრასთან ბრძოლის სამუშაოებს და ყველა ზომებს ხმარობდნენ გათვალისწინებული წამლობის სისტემატურად და გულდასმით ჩატარებისათვის, ამ საქმეს ხშირად მეორეხარისხოვან პირებს ანდობენ და უყურადღებობის შედეგად გამოწვეულ წარუმატებლობას შხამ-ქიმიკატებს აბრალებენ.

ღონისძიებათა ჩატარების ხარისხი სავსებით დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ მოაწყობენ მეურნეობები ამ საქმეს. მეურნეობების ხელმძღვანელებმა წამლობაში უნდა ჩაბაბან გამოცდილი და საქმით დაინტერესებული ადამიანები, ამასთან შეუქმნან მათ სათანადო პირობები ამ მეტად სპეციფიკურ, მძიმე და პასუხსაგებ სამუშაოს შესრულებისათვის.

სახელმწიფო მნიშვნელოვან თანხებს ხარჯავს ციტრუსოვანთა ფართოთეთრას წინააღმდეგ ბრძოლაზე; უსასყიდლოდ ამარაგებს მეურნეობებს შხამ-ქიმიკატებით, ხოლო სუსტძალოვან კოლმეურნეობებს და მათ ტერიტორიაზე მცხოვრებ კოლწევრებსა და მუშა-მოსამსახურეებს მთლიანად უნაზღაურებს წამლობასთან დაკავშირებულ მთელ ხარჯებს. მაგრამ ეს ხარჯები, სამწუხაროდ, ყველგან როდია გამართლებული. შემჩნეულია, რომ ზოგიერთ მეურნეობაში, სადაც ხელმძღვანელებად მეზობელთა, უსულგულო და დაუდეგარი ადამიანები არიან, საერთო საქმისადმი არაკეთილსინდისიერად განწყობილი პირები აგრონომების, წამლობის ბრიგადირების, ტრაქტორისტებისა და სხვათა სახით ეწევიან თვალსაჩინოებას მოქმედებას, წამლობის ჩატარებაზე ადგენენ ყალბ განრიგებს და აქტებს, ხოლო ნარგაობა შეუწამლავი რჩება. არის შემთხვევები, როცა საკარმიდამო ნაკვეთების მესაკუთრეებს ართმევენ შხამქიმიკატის საფასურს და წამლობის ხარჯებს, მაშინ როცა ღონისძიება სახელმწიფო ხარჯზე ტარდება. ასეთ ფაქტებს ადგილი ჰქონდა აჭარის ასს რესპუბლიკაში.

მეურნეობებს საკმაო რაოდენობით არ მოეპოვებათ საწამლი აპარატები და ხშირად სამართლიანად გამოთქვამენ საყვედურს ამის გამო. მაგრამ ამავე დროს ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ნაკლებად ზრუნავენ იმ საშუალებათა რაციონალურად გამოყენებისათვის, რაც აქვთ.

გაერთიანება „საქსოფლტექნიკამ" დღემდე ვერ უზრუნველყო რაიონები ციტრუსების წამლობისათვის საჭირო ზურგსაკიდი და მძლავრი აპარატებით, სათანადო ტრაქტორებით და რეზინის შლანგებით. ზურგსაკიდი აპარატები, რაც უკანასკნელ წლებში შეიზიდა, უხარისხოა და ერთ ხმარებაზე გამოდის წყობიდან. სრულებით არ ექცევა ყურადღება აგრონომების მომარაგების საწამლი აპარატებისათვის საჭირო სათადარიგო ნაწილებით. მოუწყობელია „საქსოფლტექნიკის" განყოფილებებთან აპარატების შემკეთებელი სახელოსნოები და. სხვ. ეს საკითხები დაჩქარებით უნდა მოგვარდეს.

ფრთათეთრასაგან ციტრუსოვანი კულტურების დაცვა მნიშვნელოვანი სახელმწიფო ღონისძიებაა და მისი ხარისხიანად გატარება ყველა საჭირო საშუალებათა მობილიზებას მოითხოვს.

ვ. ჭიჭინაძე,
საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს მცენარეთა დაცვის განყოფილების აგრონომი.

გაზეთების ფურცლებზე

გვერდი-ალაკატი მოგვითხრობს

საქართველოს კომპარტიის გარდაბანის საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტისა და მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს ორგანო „**სამგორი**" მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების გავრცელების მაზნით მრავალ საშუალებას იყენებს.

ერთ-ერთი ასეთი საშუალებაა გვერდი-ალაკატები, რომლებსაც გაზეთი პერიოდულად აქვეყნებს. გვერდი-ალაკატი № 10 გაზეთმა მიუძღვნა დობრინსკის საწარმოო სამმართველოს საბჭოთა მეურნეობა „პეტროვსკის" გამოცდილებას სასუქების გამოყენების საქმეში.

საბჭოთა მეურნეობის დირექტორი, რსფსრ დამსახურებული აგრონომი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი ი. ქსენზი გაზეთში წერს:

„...ჩვენს მეურნეობას სისტემატურად მოჰყავს ყველა კულტურის მაღალი მოსავალი, უხვად უზრუნველყოფს საზოგადოებრივ პირუტყვს საკუთარი წარმოების საკვებით, ზრდის პროდუქციის გამოსავალს. ზრდა განსაკუთრებით შესამჩნევია უკანასკნელ ათ წელიწადში. 1953 წელთან შედარებით მარცვლის წარმოება გაიზარდა 5-ჯერ, ხორცისა — 6-ჯერ, რძისა — 4-ჯერ.

საბჭოთა მეურნეობაში დამუშავებულია სასუქთა ისეთი სისტემა, რომელიც თავლილსწინებს მეურნეობის კონკრეტულ თავისებურებას, მის ნიადაგებს, თესლბრუნვას და კულტურების მონაცვლეობას.

მთავარ ორგანულ სასუქად ვიყენებთ ნაკელს. 1959 წელს იგი მოდიოდა 2,8 ტონა ჰექტარ სახნავზე, ახლა მოდის 4-5 ტონა. იგი შეგვაქვს ათმინდვრიანი თესლბრუნვის მიხდვრებზე. ბარიისა და სიმინდის შემდეგ საშემოგომო ხორბლის ნათესებში შეგვაქვს ნახევრადგადამწვარი ნაკელი 20 ტონის რაოდენობით ჰექტარზე. 10 ტონა ასეთი ნაკელი შეგვაქვს სიმინდის ნათესებში, როგორც ძირითადი სასუქი. 4-8 ტონა ნაკელს ღებულებ თესვისწინა კულტივაციის წინ შაქრის ჭარხალი და სიმინდი. პიროტყვის სულადობის ზრდის შესაბამისად ორგანული ნაკელის შეტანაც იზრდება. შვიდწლედის ბოლოს ყოველ ჰექტარ სახნავში შეტანილ იქნება 8 ტონამდე.

მრავალ წლის განმავლობაში მეურნეობაში ხდებოდა დაკვირვება სასუქების ეფექტურობაზე. აღმოჩნდა, რომ ყოველი ცენტნერი მინერალური სასუქი იძლევა ჰექტარზე 8 ცენტნერი მარცვლის მატებას".

საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობა

კასპის სამრეწველო-საწარმოო ზონის პარტიული კონფერენცია

„კომუნისტის" სიგნალის შემდეგ

დასილოსებული... საქმე

ამ სათაურით „კომუნისტში" დაბეჭდილ წერილში ლაპარაკი იყო მახარაძის საწარმოო სამმართველოს ზოგიერთ კოლმეურნეობაში სილოსის დამზადების საქმეში არსებული ნაკლოვანებების შესახებ. წერილთან დაკავშირებით საქართველოს კპ მახარაძის სასოფლო-საწარმოო კომიტეტის მდივანი ა. თოიძე რედაქციას ატყობინებს: გაზეთ „კომუნისტში" გამოქვეყნებულ კორესპონდენციაში „დასილოსებული... საქმე" მოყვანილი ფაქტები შემოწმებით ძირითადად **დადასტურდა.** საქართველოს კპ მახარაძის სასოფლო-საწარმოო კომიტეტის ბიურომ განიხილა კორესპონდენციაში აღნიშნული ფაქტების შემოწმების შედეგები და დასახა საჭირო კონკრეტული ღონისძიებანი ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

პარტიული კომიტეტის ბიურომ მკაცრად გააფრთხილა იანეულის, ბაღდადის, ზვანის, შრომის, ჭანიეთის, ბუკნარის, ხევის, ქვემოერკეთის კოლმეურნეობათა გამგეობების თავმჯდომარეები შ. მეგრელიშვილი, გ. კვაჭაკიძე, ჭ. ღლონტი, მ. ორაგველიძე, გ. მუჯანაძე, ზ. კაცაძე, გ. მამალაძე, და პ. უჯმაჯურიძე წვნიანი საკვების (სილოსი) დამზადების საქმეში ჩამორჩენის გამო და დაავალა მათ აგროზოოტექნიკურ ვადაში უზრუნველყონ ღონისძიებათა შესრულება.

ზემოხეთის კოლმეურნეობის მესაქონლეობის ფერმაში ცუდი მოვლა-პატრონობის გამო პირუტყვის სიკვდილიანობისათვის გამგეობის თავმჯდომარეს ჭ. თავაძეს გამოეცხადა საყვედური, ხოლო ფერმის გამგე ალ. თავაძე სამუშაოზე დატოვებულ იქნა პირობით.

კომუნისტი
მე-2 გვერდი, ხუთშაბათი, 21 ნოემბერი, 1963 წ.

ჩვენ

ეს რა შენობაა?!

ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა: იქვე ახლოს, სადაც ძველ შენობაში ვსწავლობდით, სწრაფად შენდებოდა ჩვენთვის განკუთვნილი ახალი საკოლო კორპუსი. მართლაც, სამსართულიანი შენობა, შორიდანვე რომ იტაცებს მზერას, ახალი სასწავლო წლის დასაწყისისათვის გადმოგვცეს მშენებლებმა.

მაგრამ ხანმოკლე აღმოჩნდა ჩვენი ეს სიხარული: ნათელ, მოხერხებულად განლაგებულ ოთახებსა და დარბაზებს პირველი წვიმისთანავე ეცვალა იერი. ძირა სართულის ორ ვრცელ დარბაზში, სადაც სადურგლო და სახეინკლო სახელოსნოებია მოთავსებული, 15-20 სანტიმეტრზე დადგა გრუნტის წყალი და პირველ მეოთხედში ფაქტიურად პრაქტიკული მეცადინეობა არა გვქონია.

ბევრგან, განსაკუთრებით კარებთან, შენალესი კედლები ორმად დასველა, მინები ფანჯრებში უსაგზაოვოდ ჩაუსვამთ და იმტვრევა, წვიმის სადინარი მილები ეი ისე სუსტად არის დაკავშირებული ერთმანეთთან, რომ უმეტესობა დაიხსნა და დაღვრილი წყალი კედლებს აზიანებს.

პაინერთა ოთახშიც ვეღარ შევსულვართ: კანალიზაციის მილებს იმდენი წყალი ჩამოსდევს გვერდებიდან, რომ ირგვლივ სარდაფის ძირიდან სუნი ტრიალებს. მშენებლებს „სიმკარები" გაუსინჯავად დაუწყვიათ, მათს ღრუებში წყალი შეყოლილა და ახლა ჭერი ბევრგან ჩამოგვენგრა. არც კიბეთა მოედნების ფილები დაუგიათ მკვიდრად, ბევრგან ამოცვივდა. ახლა ისიც გაითვალისწინეთ, რომ სკოლის მისავალი გზა, 150 მეტრ სიგრძეზე, მეტად ტალახიანია, და ადვილად წარმოსადგენია, რა დღეში ვიქნებით.

ეს ვისი მიზეზით ვართ ამ მდგომარეობაში? — ჩვენი ახალი სასკოლო შენობა ამერიკაკასიის რკინიგზის სატრანსპორტო სამშენებლო განყოფილებამ ააგო; მშენებლ

საერთაშორისო
ლეკციები, ცხოვრება, ვიდეოჩანაწერები
ცხოვრება

საბჭოთა კოსმონავტები ნეპალში

კატმანდუ, 19 ნოემბერი. (საკდესი). საკდესის კორესპონდენტი ვ. ნიკიტინი იუწყება:

დღეს აქ ნეპალის მთავრობის მიწვევით 2 დღის ვიზიტად ჩავიდნენ საბჭოთა გმირები — კოსმონავტები ვალენტინა ნიკოლაევა-ტერეშკოვა, ვალერი ბიკოვსკი და ანდრიან ნიკოლაევი.

აეროპორტში საბჭოთა სტუმრებს ნეპალის მეფის სახელით შეხვდნენ ფელდმარშალი შამშერ დ. რანა, მთავრობის წევრები და სხვა ოფიციალური პირები, ნეპალ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ორგანიზაციის, ქალთა და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

აეროდრომზე შეიკრიბა ნეპალის დედაქალაქის ბევრი მცხოვრები, რომლებიც გულთბილად მიესალმნენ საბჭოთა წარგზავნილებს.

იმავე დღეს კოსმოსის დამპყრობი საბჭოთა გმირები მიიღო ნეპალის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ დოქტორმა ტულსი გირომ. საუბარს დაესწრნენ ნეპალის თვალსაჩინო სახელმწიფო მოღვაწენი.

სსრ კავშირის დახმარებით

მოგადიშო, 20 ნოემბერი. (საკდესი). გუშინ სომალის რესპუბლიკის დედაქალაქის გარეუბანში გაიმართა რძის კომბინატის მშენებლობის დაწყების ოფიციალური ცერემონია. კომბინატი შენდება საბჭოთა კავშირის დახმარებით.

ცერემონიაზე შეიკრიბნენ მოგადიშოს ასობით მცხოვრები, სომალის მთავრობის წარმომადგენელნი, სსრ კავშირის საელჩოს პასუხისმგებელი მუშაკები, საბჭოთა სპეციალისტები, მშენებლობის მუშები, ადგილობრივი და უცხოელი ჟურნალისტები.

სომალის რესპუბლიკის მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრმა იბრაჰიმ ოსმან ფოდმა სიზეიმი ვითარებში ჩაფი პირველი ქვა მომავალი კომბინატის საძირკველში. ჩვენ დიდად ვაფასებთ კეთილ ნებას, რომელიც საბჭოთა კავშირმა გამოიჩინა, თქვა მინისტრმა, და დიდ მადლობას ვუძღვნით მას დახმარებისათვის.

სომალის რესპუბლიკაში აკრედიტებული სსრ კავშირის საელჩოს მრჩეველმა მ. მ. ზარუბანინმა სიტყვაში გამოთქვა რწმენა, რომ მშენებლობა ხელს შეუწყობს ახალგაზრდა განვითარებადი ქვეყნის სპეციალისტთა ეროვნული კადრების შექმნას და მისი ეკონომიური დამოუკიდებლობის განმტკიცებას.

მშრომელები იწონებენ

ბუენოს-აირესი, 20 ნოემბერი. (საკდესი). არგენტინის მთავრობის გადაწყვეტილებას, რომ გაუქმდოს უცხოეთის ნავთობის კომპანიებთან დადებული კაბალური კონტრაქტები, ჩარს უქერენ არგენტინის მშრომელები. ამ გადაწყვეტილების მხარდასაჭერად სიტყვა წარმოთქვა მშრომელთა საყოველთაო კონფედერაციის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა რიბასმა. მან განაცხადა, რომ ეს უდიდესი პროფკავშირული გაერთიანება ხელს შეუწყობს „ისტორიული გადაწყვეტილების“ განხორციელებას.

„შეტევა შიმშილის წინააღმდეგ“

რომი, 20 ნოემბერი. საკდესის კორესპონდენტი ა. კრასიკოვი იუწყება:

ახლა ჩვენი პლანეტის მილიარდნახევარი მცხოვრები იტანჯება შიმშილისა და ცუდი კვების გამო, ასეულ მილიონობით ადამიანი შიმშილით სიკვდილისათვის არის განწირული და არავითარ სასწაულს არ ძალუძს იხსნას ისინი ენით გამოუთქმელი ტანჯვისაგან. ეს განაცხადეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სურსათისა და სოფლის მეურნეობის საკითხთა ორგანიზაციის XII სესიაზე, რომელიც რომში მიმდინარეობს.

სურსათისა და სოფლის მეურნეობის საკითხთა ორგანიზაციის გენერალურმა დირექტორმა დოქტორმა სენმა (ინდოეთი) სესიის წარუდგინა მოხსენება, რომელშიც ნათქვამია, რომ ახლო და შორეულ აღმოსავლეთში, აფრიკასა და ლათინური ამერიკის უზარმაზარ რაიონებში ერთ სულ მოსახლეზე კვების პროდუქტების მოხმარების დონე ისეთივეა, როგორიც ომამდე იყო, ხოლო მთელ რიგ შემთხვევებში ამ დონესაც ვერ აღწევს. ამასთანავე, სასურსათო საქონლის მოთხოვნილებამ ამ რაიონში მნიშვნელოვნად მოიმატა ომასთან დაკავშირებით, რომ აქ ათეულ მილიონობით კაცით გაიზარდა მოსახლეობა.

ტანგანიკის პრეზიდენტმა ჯულიუს ნიერერემ სიტყვა წარმოთქვა სესიაზე და მკვეთრად გააკრიტიკა იმ სახელმწიფოთა ნეოკოლონიალისტური პოლიტიკა, რომლებიც აიძულებენ უსუსტად განვითარებულ ქვეყნებს ძალიან მცირე თვალინი ერთადერთი სიმდიდრე — ნედლეული — პირდაპირ ეფასურად, ხოლო თავიანთს მზა პროდუქციას აწვდიან ძვირად. ჯ. ნიერერემ მოითხოვა დაიწყოს „მასირული შეტევა შიმშილის წინააღმდეგ მთელი მსოფლიოს მასშტაბით“. მან თქვა: სასურველი იქნება, თუ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ვაჭრობის საკითხებისადმი მიძღვნილი ომავალი საერთაშორისო კონფერენციის მონაწილენი მთელი გულისყურით განიხილავენ ისეთი საერთო სოფლიო მაზრას შექმნის საკითხს, სადაც არ იქნება დისკრიმინაცია საერთაშორისო ვაჭრობაში და შეზღუდვები სხვადასხვა სახელმწიფოების ეკონომიურ ურთიერთობაში.

ქომუნისტი
მე-8 გვერდი, ხუთშაბათი,
21 ნოემბერი, 1960 წ.

ლათინური ამერიკა — უატომო ზონად

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პოლიტიკურ კომიტეტში

ნიუ-იორკი, 20 ნოემბერი. (საკდესი). გუშინ პოლიტიკურ კომიტეტში გრძელდებოდა დისკუსია ათი ქვეყნის იმ პროექტის გამო, რომ ლათინური ამერიკა გამოაცხადონ უატომო ზონად.

საბჭოთა კავშირი, ხაზგასმით აღნიშნა თავის გამოსვლაში სსრ კავშირის წარმომადგენელმა ნ. ტ. ფედორენკომ, თანმიმდევრულად მოითხოვდა და მოითხოვს ატომური იარაღისაგან თავისუფალი ზონების შექმნას. თუ სსრ კავშირმა ნათლად და არაორპოფლად განაცხადა, რომ მზად არის ხელი შეუწყოს უატომო ზონების შექმნას, პატივი სცეს ამ ზონების სტატუსს და უზრუნველყოს ასეთ ზონებში შემავალი მონაწილე ქვეყნების უშიშროება და დამოუკიდებლობა, დასავლეთის სახელმწიფოებს, რომლებიც რაკეტულ-ატომურ იარაღს ფლობენ, დღემდე არ უთქვამთ, რომ მზად არიან იკისრონ ასეთი ვალდებულებანი. ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაცია უატომო ზონების შექმნის შესაძლებლობას განაპირობებს მთელი რიგი შენიშვნებით. ამერიკის შეერთებული შტატების საწინააღმდეგო მოსაზრებათა არსი ის არის, რომ ამ ზონებმა არ უნდა დაარღვიონ სამხედრო „ძალთა ბალანსი“, რომელიც მსოფლიოს სხვადასხვა რაიონში შეიქმნა. ამ ყურით მოთრეულ „საფუძველზე“ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ნებისმიერად, ერთი ხელის მოქნევით ამოშალეს ევროპა და სხვა რაიონები შესაძლო უატომო ზონების სფეროდან, არც კი ჰკითხეს აზრი ამ რაიონებში განლაგებულ სახელმწიფოებს.

უატომო ზონის შექმნა ლათინურ ამერიკაში და მისი ცხოველსურნაირობა დამოკიდებულია იმაზე, პატივს სცემენ და დაიცავენ თუ არა ამ ზონის სტატუსს სახელმწიფოები, რომლებიც ატომურ იარაღს ფლობენ. როგორც ეს ცხადყო კუბის წარმომადგენელმა კარლოს ლეჩუგამ, შეერთებულმა შტატებმა უნდა იკისრონ ვალდებულება, რომ ატომური იარაღი არ ეშენებათ ზონაში, რომელიც მათი საზღვრების სამხრეთით მდებარეობს, მათ შორის პანამის არხის ზონასა და პუერტო-რიკოში, რომ მოსპობენ თავიანთ სამხედრო ბაზებს ამ კონტინენტზე, მათ შორის გუანტანამოში, და მოგვცემენ იმის გარანტიას, რომ ატომურ იარაღს არ გამოიყენებენ ლათინური ამერიკის უატომო ზონის სახელმწიფოთა წინააღმდეგ. ამგვარი ხასიათის ვალდებულებანი — არ განალაგონ ატომური იარაღი ლათინური ამერიკის ზონაში — უნდა იკისრონ დასავლეთის სხვა სახელმწიფოებმაც, რომლებსაც აქვთ ატომური იარაღი და ფლობენ ყოლონიებს ამ რაიონში. მაგრამ, ამერიკის შეერთებული შტატების განზრახვა კვლავაც დატოვონ თავიანთი ატომური ძალები პუერტო-რიკოს ტერიტორიაზე, პანამის არხის ზონაში და შეინარჩუნონ სამხედრო ბაზები ლათინურ ამერიკაში, მათ შორის გუანტანამოს ბაზა, მოწმობს, რომ ეს ატომური სახელმწიფო მხოლოდ ათამაშებს რეზოლუციის პროექტის ტერმინოლოგიას და სრულებითაც არ ეთანხმება ლათინურ ამერიკაში უატომო ზონის შექმნის იდეის არსს. ითვალისწინებს რა აღნიშნულს, თქვა დასასრულ ფედორენკომ, საბჭოთა დელეგაცია არ თვლის შესაძლებლად მხარი დაუჭიროს განსახილველად შემოტანილ პროექტს. იგი გამოთქვამს იმედს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები გადასინჯავენ თავიანთ პოზიციას.

ნიუ-იორკი, 20 ნოემბერი (საკდესი). გუშინ პოლიტიკურ კომიტეტში გრძელდებოდა დისკუსია ათი ქვეყნის იმ პროექტის გამო, რომ ლათინური ამერიკა გამოაცხადონ უატომო ზონად.

შემდეგ პოლიტიკურმა კომიტეტმა დაიწყო განხილვა საკითხისა ატომური იარაღის გამოყენების აკრძალვის კონვენციის ხელმოწერისადმი მიძღვნილი კონფერენციის მოწვევის შესახებ. კომიტეტის განსახილველად შეტანილია ეთიოპიისა და აფრიკის მთელი რიგი სხვა ქვეყნების პროექტი, რომელიც შეიცავს თხოვნას, რომ 18 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტმა სასწრაფოდ შეისწავლოს საკითხი ატომური იარაღის გამოყენების აკრძალვის კონვენციის ხელმოწერისადმი მიძღვნილი კონფერენციის მოწვევის შესახებ და მოხსენება წარუდგინოს გენერალური ასამბლეის მე-19 სესიას.

საბჭოთა დელეგაცია, განაცხადა სსრ კავშირის წარმომადგენელმა კ. ვ. ნოვიკოვმა, აპოდენების ეს საკითხი გადაიჭრას აქ, გენერალური ასამბლეის მე-18 სესიაზე. მაგრამ, განაგრძო საბჭოთა დელეგატმა, რადგან ამ წინადადების ინიციატორებს — ეთიოპიასა და აფრიკის სხვა ქვეყნებს — შესაძლებლად მიაჩნიათ განიხილონ იგი 18 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტში, ჩვენ არა ვართ წინააღმდეგი და მზად ვართ მხარი დავუჭიროთ რეზოლუციის პროექტს, რომელიც მათ შემოიტანეს.

რეზოლუციის ამ პროექტს მხარი დაუჭირეს აგრეთვე უკრაინის სსრ და რუმინეთის დელეგატებმა.

ინგლისის წარმომადგენელმა აზრი გამოთქვა რეზოლუციის პროექტის წინააღმდეგ.

ერაყის ამბები

თეირანი, 20 ნოემბერი. (საკდესი). როგორც ბაღდადის რადიო იუწყება, ერაყის დედაქალაქში მდგომარეობა სტაბილური ხდება. ბაასისტთა „ეროვნული გვარდიელების“ ცალკეული და იზოლირებული ჯგუფების წინააღმდეგობას ახშობენ.

ერაყიდან მიღებული ცნობებით, 18 ნოემბრის მთელი ღამის განმავლობაში და 19 ნოემბერს დილით ბაღდადის ცალკეულ უბნებში ჯერ კიდევ გრძელდებოდა სროლა ჯარებსა და „ეროვნულ გვარდიელებს“ შორის. ერაყის სამხედრო გუბერნატორმა გენერალმა მუსლიმმა კვლავ მიმართა „ეროვნულ გვარდიელებს“ მოთხოვნით დაუარონ იარაღი. წინააღმდეგ შემთხვევაში მიღებულ იქნება მკაცრი ღონისძიებანი.

ბაღდადის რადიოს ცნობით, მთავრობის ჯარებმა მოსპეს ბაასისტთა წინააღმდეგობის მთავარი კერა დედაქალაქში. პოლიციამ მიიღო ბრძანება დაიკავოს ყველა შენობა, რომლებშიც დაბინავებული იყო „ეროვნული გვარდია“. ითვალისწინებს რა ერაყის მოსახლეობის კანონიერ გულისწყრომას ბაასისტური „ეროვნული გვარდიის“ წინააღმდეგ, სამხედრო სარდლობა მოუწოდებს მცხოვრებლებს თავი შეიკავონ თვითნებური ძალადობისა და გამოსვლებისაგან ბაასისტების წინააღმდეგ და არმიას მიანდონ მათი წინააღმდეგობის ჩახშობა.

დამასკო, 20 ნოემბერი. (საკდესი). დამასკოს რადიოს ცნობით, ერაყიდან აქ დაბრუნდნენ სირიის პრემიერ-მინისტრი ამინ ჰაფეზი, ბაასის პარტიის გენერალური მდივანი მიშელ აფლაკი და სირიის იმ დელეგაციის სხვა წევრები, რომელიც, როგორც ცნობილია, ერაყში ჩავიდა 18 ნოემბრის ანტიბაასისტურ სახელმწიფო გადატრიალებამდე რამდენიმე დღით ადრე და მას შემდეგ იქ იმყოფებოდა.

როგორც იუწყებიან, დამასკოში შეიკრიბება ბაასისტური „რევოლუციური სარდლობის ეროვნული საბჭოს“ სხდომა, რომელზეც, ჟურნალისტთა წრეების აზრით, განიხილავენ სირიის პოზიციას ერაყის უკანასკნელი ამბების მიმართ, აგრეთვე შეიმუშავებენ „უფრო რადიკალურ ღონისძიებებს სირიის შინაპოლიტიკური ვითარების სტაბილიზაციისათვის“.

კაირო, 20 ნოემბერი. (საკდესი). ერაყის არმიის ქვეგანყოფები განაგრძობენ ბაასისტური „ეროვნული გვარდიის“ წევრთა განიარაღებას ოპერაციების ბაღდადში, იუწყება მენის საგენტოს შეიარაღებულთა ძალებმა დაიკავეს „ეროვნული გვარდიის“ მთავარი ბინა. ხელთ იგდეს დიდძალი იარაღი და საბრძოლო მასალა. მთავარ რაზმთან აღმოჩნდა ბერძენ-დამნშვნელოვანი დოკუმენტი. ზოგიერთი მთავარი მოღალატე, რომ თავიანთ გვარდიელებს ხელოვნურ მიმართულებით შანტაჟს. ჩაბოვნი დოკუმენტები ადასტურებენ აგრეთვე, რომ ერაყის მოქალაქეთა საჩივრები დაშლილი ეროვნული გვარდიის წევრებზე გვარდიის შტაბში რჩებოდა.

ერაყის სამხედრო სარდლობის ოფიციალურმა წარმომადგენელმა მენის საგენტოს კორესპონდენტს აცნობა, რომ შტაბში „არმიის უმნიშვნელო წინააღმდეგობა გაუწიეს. რამდენიმე გვარდიელი ადგილზევე ბოსპეს, დანარჩენებმა იარაღი დაყარეს“.

ბენ ბელას გამოსვლა

ალჟირი. (საკდესი). 18 ნოემბერს აქ გაიხსნა პროფკავშირული კადრებს სემინარი, რომელზეც სიტყვა წარმოთქვა რესპუბლიკის პრეზიდენტმა ბენ ბელამ. მან განაცხადა, რომ „ერის რევოლუციური ძალები ემზადებიან დიდი იდეოლოგიური დისკუსიისათვის, რომელმაც უნდა განსაზღვროს გზები და საშუალებანი ჩვენი რევოლუციის მეორე ფაზაში შესასვლელად“.

ბენ ბელას მხედველობაში ჰქონდა ეროვნული განთავისუფლების ფრონტის ყრილობა, რომელიც მალე იქნება მოწვეული.

ხაზი გაუსვა რა იმას, რომ საჭიროა მთელი რიგი იდეოლოგიური საკითხების დამუშავება და რევოლუციური ძალების შემდგომი დაჯგუფება, ბენ ბელამ განაცხადა, რომ ყრილობის მოსამზადებელმა კომისიამ უნდა შეიმუშაოს ეროვნული განთავისუფლების ფრონტის ახალი პროგრამის პროექტი, „რომელიც კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იქნება, ვიდრე ტრიპოლში მიღებული პროგრამა“.

ბენ ბელამ აღნიშნა დადებითი ხასიათი მუშათა პროფკავშირების ბრძოლისა ეროვნულ-განთავისუფლებელ ომში და განაგრძო: „ჩვენთვის აუცილებელია პროფკავშირული მოძრაობა, რომლის კონკრეტული საქმიანობა უნდა მიმდინარეობდეს ჩვენი პოლიტიკური ამოცანების შესაბამისად“.

კამბოჯის დედაქალაქი პნომ-პენი.
საკდესის ფოტოქრონიკა.

ერთიანი ფრონტით

ლონდონი, 20 ნოემბერი. (საკდესი). სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის დემოკრატიულმა ორგანიზაციებმა, რომლებიც იბრძვიან სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მიერ სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის ძალით მითვისებული ტერიტორიის დამოუკიდებლობისათვის, გამოაცხადეს, რომ შეიქმნა ეროვნული განთავისუფლების ფრონტი. ეროვნული განთავისუფლების ფრონტში, კერძოდ, შეიდნენ „სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის სახალხო ორგანიზაცია“, სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის ეროვნული კავშირი, სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის ფერადკანიანი მოსახლეობის ორგანიზაცია, აგრეთვე სხვა ორგანიზაციები.

სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის ეროვნული კავშირის წარმომადგენელმა საკდესის კორესპონდენტს ლონდონში განუცხადა, რომ „ეროვნული განთავისუფლების ფრონტის“ შექმნა ხელს შეუწყობს და კიდევ უფრო გააძლიერებს სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის ჩაგრულ ხალხთა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას“.

რ. მაკნამარა ქებას ასხამს

ამერიკის თავდაცვის მინისტრის გამოსვლა

ვაშინგტონი, 19 ნოემბერი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრმა რ. მაკნამარამ გუშინ ნიუ-იორკის ეკონომიურ კლუბში წარმოთქვა სიტყვა, რომელიც მიეძღვნა ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო სტრატეგიის პრობლემებს. მაკნამარას სიტყვით, მისი გამოსვლის მიზანი იყო, რომ ხელი შეუწყოს ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებულ უთანხმოებათა აღმოფხვრას სამხედრო საკითხებში მთავრობის მიერ ახალი სამხედრო ბიუჯეტის შეტანის წინ. მაკნამარა ქებას ასხამდა ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ძლიერებას.

ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების განზრახვას კვლავაც ჩაეერიონ მსოფლიოს სხვა რაიონების საშინაო საქმეებში, მაკნამარა ამართლებდა იმით, რომ დაიმოწმა „კომუნისტური ბლოკის ექსპანსიონისტური იმპულსი“. მან თქვა, რომ შეერთებული შტატები არ აპირებენ შეამცირონ თავიანთი მიწისზედა შეიარაღებული ძალების რიცხვი დასავლეთ ევროპაში.

ამასთანავე მაკნამარამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა არ უნდა მისცეს თავს ნება, რომ მოძველებული წარმოდგენანი აიძულებდნენ მათ სჯეროდეთ, რომ „ამერიკის ატომური ძლიერება გადაკრის ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული უშიშროების ყველა პრობლემას“.

ფრანკოს ემისრები პარიზში

პარიზი, 20 ნოემბერი. (საკდესი). ამჟამად პარიზში იმყოფება ესპანეთის მთავრობის სამი მინისტრი — საგარეო საქმეთა მინისტრი კასტიელია, ფინანსთა მინისტრი ნავარო რუბიო და ვაჭრობის მინისტრი ულიასტრესი. ისინი აქ ჩამოვიდნენ საფრანგეთის მთავრობის წარმომადგენლებთან საფინანსო მოლაპარაკებისათვის. მათი ვარაუდით ეს მოლაპარაკება უნდა დამთავრდეს შეთანხმების ხელმოწერით ესპანეთისათვის კრედიტების მიცემის შესახებ.

ასეთი ვარაუდი, აღნიშნავს გაზეთი „ლიბერასიონი“, ემყარება „დე გოლის რეჟიმის გულუხვობას დიქტატორ ფრანკოს მიმართ. ეს გულუხვობა დაეხმარება მას გაახანგრძლივოს რეჟიმის არსებობა, რომელიც თავისი ბიუჯეტის თითქმის ნახევარს ახმარს არმიას, პოლიციასა და ჯალათების ბანდას“.

გაფიცვები, პროტესტები

რომი. ამ დღეებში გროსეტოს პროვინციაში (ცენტრალური იტალია) მდებარე „რავის“ მაღაროს მაღაროელები კვლავ გამოცხადდენ თავიანთ საწარმოში და ჩავიდნენ 310 მეტრ სიღრმეზე. რამდენიმე ხანა წინათ მათ მიწისქვეშ გაატარეს 49 დღე, იმის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, რომ მაღაროს მფლობელებს განზრახული ჰქონდათ მუშათა დიდი ჯგუფის დათხოვნა, შემდეგ კი საწარმოს მოლიანად დახურვა. მათ მაღაროდან გამოსვლა გადაწყვეტეს მხოლოდ მას შემდეგ, როცა მეწარმეებმა გამოაცხადეს, რომ მზად არიან დაიწყონ მოლაპარაკება მშრომელთა მოთხოვნების დაკმაყოფილების შესახებ. მაგრამ მოლაპარაკება სრული მარცხით დამთავრდა.

2 ათასზე მეტი მასობრივი მიტინგი და დემონსტრაცია გაიმართა მთელ იტალიაში „აგრარული რეფორმისათვის ბრძოლის სამი დღის“ მანძილზე.

„ბრძოლის დღეებს“, რომელთა მოწყობის ინიციატორები იყვნენ გლეხთა ორგანიზაციები მრეწველობის მუშათა პროფკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად, გამოეხმაურა იტალიის სოფლის მშრომელთა მრავალმილიონიანი არმია.

ლონდონი. 470 მუშის გაფიცვის შედეგად შეჩერდა წარმოება ბირმინჰემის ჩაის ფაბრიკაში, გაფიცვა გამოეცხადა დისციპლინარული სასჯელის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, რომელიც უსამართლოდ დაადო ფაბრიკის ადმინისტრაციამ ერთ-ერთ მუშას.

სუნდერლენდში (უილტშირის საგრაფო) გაიფიცა საკალამთაშორისო გადაზიდვის სამსახურის 20 მძღოლი. ისინი მოითხოვენ თავიანთი ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ტოკიო. იაპონიის მეშახტეებმა 19 ნოემბერს მთელ იაპონიაში გამოაცხადეს ორი საათის გაფიცვა „მიკავას“ შახტში ამას წინათ მომხდარ კატასტროფასთან დაკავშირებით. მაღაროელებმა ადმინისტრაციას მოსთხოვეს განახორციელოს უბაფრთხობის ტექნიკის უზრუნველყოფის ღონისძიებანი იმ მიზნით, რომ თავიდან იქნეს აცილებული ასეთი ტრაგედიის განმეორება მომავალში.

ბრიუსელი. ბელგიის ახვადასხვა რაიონში მიმდინარეობს შშრომელთა გაფიცვები. მუშები მოითხოვენ ხელფასის მომატებას.

მესამე დღეა გაფიცული არიან ქალაქ ეიპენის კაბელის ქარხნის მელიორნეები. ქალაქ გენტში გაფიცვა გამოაცხადა ელექტრომოწყობილობის ქარხნის 350-მა მუშამ. უკრეს მეტალურგიული ქარხნის მოსამსახურეებმა გააფრთხილეს ადმინისტრაცია, რომ გაიფიცებიან, თუ მათ არ გაუდიდებენ ხელფასს.

ჟენევა. ისრაელში გაიმართა საყოველთაო ერთი დღის გაფიცვა. გაფიცვაში მონაწილეობა მიიღო 25 ათასმა კაცმა, მათ შორის ექიმებმა, ინჟინრებმა, იურისტებმა და მასწავლებლებმა. გაფიცულებმა მოითხოვეს ხელფასის მომატება და შრომის პირობების გაუმჯობესება.

გაფიცვა გამოცხადდა იმის მიუხედავად, რომ ებრაელ მუშათა საყოველთაო ფედერაციის ხელმძღვანელობამ აკრძალა გაფიცვა. (საკდესი).

ტოპლიცის ტბის ორმაგი ფსკერი

ისინი ნაპირთან შეხვდნენ ერთმანეთს. ბინდდებოდა. მზე უკვე მოეფარა მთების ტყიან მწვერვალს. მხოლოდ კლდეების დაკბილულ კედლის ჩარჩოში ჩასმული ცაღა მოჩანდა ცისფრად, სწრაფად მუშაობდენ. ნისლისაგან დანოტიოებულ მიწაზე გაშლილმა რეზინის უფრმო ნაჯერმა მანამდე მიიღო ნავის მოხაზულობა, სანამ საბოლოოდ ჩამოლამდებოდა. ორნი ჩასხდნენ რბილ, მსუბუქ კაპანაში. ერთი მათგანის ზურგზე ბუხდოვნად ელვარებდა აკვალანგის ჟანგბადის ბალონები. ოდნავ გასავნად დაიდგაფუნა ნიჩბებთან წყალმა, და სიბნელემ უცებ შთანთქა ნავი. ნაპირზე დარჩენილნი დიდხანს გასცქეროდნენ შორეთს, ბოლოს ტბის შუა ნაწილიდან მოსულმა ყრუ დგაფუნის ხმამ ამცნო მათ, რომ ოპერაცია დაიწყო.

მეორე მსოფლიო ომის სულ ბოლო ხანებში, როცა მოკავშირეთა ჯარები უკვე შეხვდნენ ერთმანეთს ელბაზე, ჰიტლერელებმა მესამე იმპერიის უცილობელი განადგურების თავიდან აცილების უკანასკნელი ცდა მოახდინეს. შეკრიბეს ესესელთა გადარჩენილი ნაწილები და ალპებში გამაგრდნენ. მაგრამ „ალპური ციხე-სიმაგრის“ დღეები დათვლილი იყო, ისევე როგორც რეიხისა, და როცა კრახი ნათელი გახდა, გესტაპოელებმა, როგორც ზოგიერთი წყაროები ირწმუნებიან, სცადეს თუნდ რიმი მაინც გადარჩინათ. ყრუ ღამეში ტბა ტოპლიცთან (ავსტრიის შტირიაში მიკარგულ ამ ბაგარა ტბასთან) მოვიდნენ მძიმედ დატვირთული ავტომანქანები. იმ რამდენიმე ათეულმა უუთმა, რომლებიც მათ მოიტანეს, ნავსაყუდელი ტბის ფსკერზე ჰპოვა. ფიქრობენ, რომ უუთებში ჰიტლერელთა მიერ ნაძარცვი ძვირფასეულობა, სს-ისა და გესტაპოს ზესაიდუმლო დოკუმენტები და შიფრები იყო, გადიოდა წლები. ქვის ნაპრალში მშვიდად თვლემდა საკმაოდ უცნობტბა. მის სახელს არც პრესაში ახსენებდნენ, არც გზაჭაჭვენებელნი იწვევდნენ აქეთ ცნობისმოყვარე ტურისტებს. მაგრამ ტბასთან დაზვერვათა ყრუ ბრძოლა მაინც არ წყდებოდა. 1946 წელს საიდუმლოებით მოცული ვითარებაში დაიხარჩო ჯერ ამერიკის არმიის სამხედრო მოსამსახურე, შემდეგ საფრანგეთისა. ადგილობრივი მცხოვრებნი ხშირად ხვდებოდნენ ტბასთან გამტვერილი ავტომანქანებით მოსულ უცნობ ადამიანებს. ისინი ნაპირთან დაეხეტებოდნენ, რაღაცას ანგარიშობდნენ, რაღაცის ფოტოსურათებს იღებდნენ. განსაკუთრებით ხშირად მოდიოდნენ აქ გერმანელები და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან, სამოქალაქო კოსტუმები ვერ ფარავდა მათ სამხედრო წრთობას.

ტოპლიცის შესახებ მხოლოდ რამდენიმე წლის წინათ ალაპარაკდნენ სახალხოდ. 1959 წელს დასავლეთგერმანულმა ჟურნალმა „შტერნმა“ მის ფსკერზე დამარხულ საიდუმლოებათა შესახებ სენსაციური ცნობა გამოაქვეყნა. უურნალის რედაქციის მიერ მოწყობილმა ექსპედიციამ ნაყოფი გამოიღო. ტბის ფსკერიდან ომის წლებში ბერლინიდან დაბეჭდილი ყალბი გირვანქა სტერლინგებით სავსე რვა უუთი ამოიღეს. მეცხრე უუთში კი უშიშროების საიმპერიო სამსახურის საიდუმლო დოკუმენტები აღმოაჩინეს. ცნობილი არ არის ვისი მითითებით, მაგრამ შემდგომი ძებნა მოულოდნელად შეწყდა. ჰიტლერელების საიდუმლოებათა გახმაურებით ვიღაც არ იყო დაინტერესებული.

...ისინი შეხვდნენ ერთმანეთს. 5 ოქტომბერს გვიან ღამით, ზუსტად დაჭმულ დროს ტოპლიცის ტბასთან ხუთი კაცი მოვიდა. ორნი —ვინმე ფრაიბერგერი და სპორტსმენი-აკვალანგისტი ეგნერი პირდაპირ მიუხსნენდან მოვიდნენ. სამი დანარჩენი —დოქტორი შმიდტი, ინჟინრები გოტფრიდი და მიტვალსკი (ყველა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან) უფრო ადრე მოვიდნენ და მოტელე ვიატში, ტბიდან რამდენიმე კილომეტრზე დაბინავდნენ. უკვე ბნელოდა, როცა რეზინის გასაბერი ნავი, რომელზეც დოქტორი შმიდტი და ეგნერი იყვნენ, ნაპირს მოშორდა. ბინდმა მაშინვე შთანთქა ისინი. მხოლოდ ყრუ დგაფუნის ხმამ აუწყა დარჩენილთ, რომ ეგნერმა ტბაში ჩაყვინთა.

ამის შემდეგ ყველაფერი ელვის სისწრაფით მოხდა. ნახევარი საათის შემდეგ შმიდტი მარტო დაბრუნდა. ნეიოლონის თოკი, რომლითაც ეგნერი ეშვებოდა, გაწყვეტილი აღმოჩნდა. მთელი კომპანია მანქანებში ჩასხდა და ჩამქრალი ფარებით დატოვეს ტბა. ორი საათის შემდეგ მათ უკვე გადასჭრეს ავსტრია-დასავლეთ გერმანიის საზღვარი. მხოლოდ მიუნხენში განუცხადა ფრაიბერგერმა პოლიციას აკვალანგისტის გაქრობის ამბავი.

ეგნერის დაღუპვის ცნობა პრესაში მოხვდა და კვლავ, ისევე როგორც ოთხი წლის წინათ, პატარა ალპური ტბა დასავლეთევროპული პრესის ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა. მეტად საინტერესო დაფრქვევებითი ცნობები გაიჩქვა, დაწვრილებითი ცნობები, რომლებიც სინათლეს ჰფენენ იმ მძვინვარე ბრძოლას, რომელსაც ჰიტლერელების საიდუმლოებათა ფლობისათვის აწარმოებენ მთელი რიგი ქვეყნების დაზვერვები და განსაკუთრებით კი საკმაოდ ცნობილი გელენის უწყება.

პირველ რიგში გაზეთებმა ყურადღება მიაქციეს ტბის ფსკერზე საიდუმლო ჩაშვების ორგანიზატორის ფრაიბერგერის პიროვნებას. გამოირკვა, რომ დიდი ხანია, რაც ის საიდუმლო სამსახურთან არის დაკავშირებული. მუშაობდა ადმირალ კანარისის ხელმძღვანელობით. 1940 წელს შვეიცარიის ხელისუფლებმა დააპატიმრეს ჰიტლერული გერმანიის სასარგებლო შპიონაჟისათვის და სიკვდილი მიუსაჯეს. ფრაიბერგერისათვის, როგორც ჩანს, იშუამდგომლეს და დახვრეტა სამუდამო პატიმრობით იქნა შეცვლილი. მაგრამ კანარისის ყოფილი აგენტი ამასაც გადარჩა. 1952 წელს ის თავისუფალი აღმოჩნდა. გელენს სასწრაფოდ სჭირდებოდა გამოცდილი კადრები.

გამოჩნდა კიდევ ერთი, ვინმე ალბერტ გაისვინკლერის — ე. წ. „ტოპლიცის ტბის კვლევითი ჯგუფის“ ხელმძღვანელის ფიგურა. ამჟამად გაისვინკლერი ცხოვრობს პატარა ქალაქ აუსზეეში, რომელიც საიდუმლოებით მოცული ტბიდან 20 კილომეტრზე მდებარეობს, და ოფიციალურად ირიცხება ადგილობრივი სატელეფონო ბიუროს მეთაურად. ის ავადმყოფოს სალაროს დირექტორად. ის ამ რაიონში ღირსშესანიშნავი ხერხითაც. ინგლისის დაზვერვის აგენტი გაისვინკლერი ჰიტლერელთა „ალპური ციხე-სიმაგრის“ გულში 1945 წლის 9 აპრილს ჩაუშვეს პარაშუტით — „სპეციალური ოპერაციის“ შესასრულებლად. მას შემდეგ ის ტბასთან დამკვიდრდა და, როგორც ჩანს, ცუდად როდი გაცნობილი მის საიდუმლოებებს. „საავადმყოფოს სალაროს დირექტორი“ ამტკიცებს, რომ წყალქვეშ 15 უუთი ყალბი ფული და 21 უუთი სს-ისა და გესტაპოს დოკუმენტებია, რომლებიც დანომრილია ბ-1-დან ბ-22-მდე (უუთი ბ-9 1959 წელს იქნა ამოღებული).

გაისვინკლერი ბევრჯერ ეცადა მიეღო ავსტრიის მთავრობისაგან ნაცისტური განძის ძებნის ნებართვა. ასეთი ნებართვის მიღებას ბევრი სხვა ჯგუფიც ცდილობდა. ყველას უარი ეთქვა. ხელისუფალნი აცხადებდნენ „

ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები • ქრონიკა

მოკლედ

□ ბათუმი. (საკ. კორ.). კოლმეურნეობა „წითელი მეთვეზრე“ მებადურები ყოველგვარ ამინდში გადიან ახლა სათევზაოდ და ყოველთვის მდიდარი ნადავლით ბრუნდებიან. კოლმეურნეობის მეთევზეთა შრომისმოყვარე კოლექტივმა ვადამდე დიდი გადაჭარბებით გაანაღდა წლიური გეგმა — დაიჭირა და გადასამუშავებლად ჩაბარა 10 ათასზე მეტი ცენტნერი მაღალი ხარისხის თევზი.

„წითელი მეთევზის“ მებადურთა გადაწყვეტილებაა საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობის აღსანიშნავად კიდევ ათას ცენტნერზე მეტი თევზი დაიჭირონ წლიური გეგმის ზევით.

□ ცხინვალი. (საკ. კორ.). დიდი ქართველი კომპოზიტორის ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „დაისი“ ბევრ ახალგაზრდა მუსიკის მოყვარულს ხიბლავს და იზიდავს. ცხინვალის მუსიკალური სკოლის მოსწავლეები დიდი ხანია ოცნებობდნენ საკონცერტო შესრულებით დაედგათ „დაისი“ შუამდელიურ სკოლაში.

ახლახან ეს ოცნება მათ განახორციელეს, ქალაქის მოსწავლე ახალგაზრდობას სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის საკონცერტო დარბაზში უჩვენეს ეს დადგმა. როლებს ასრულებდნენ მუსიკალური სკოლის მოსწავლეები.

„ცისარტყელა“ ფართოვდება

აბასთუმნის ბავშვთა სანატორიუმ „ცისარტყელას“ ამ დღეებში შეემატა კეთილმოწყობილი 100-საწოლიანი ახალი კორპუსი. იგი ერთ-ერთი ლამაზი არქიტექტურული ნაგებობაა აბასთუმანში. შენობაში მოეწყო სასადილო, ბიბლიოთეკა, სამკითხველო დარბაზი, სათამაშო დარბაზი.

სანატორიუმთან არსებობს არასრული საშუალო სკოლა, სადაც მოსწავლე-დამსვენებლებს შეუძლიათ მეცადინეობა.

სანატორიუმმა „ცისარტყელამ“ უკვე მიიღო პირველი ნორჩი დამსვენებლები.

გ. ფანცულაია.

ზრუნვა პენსიონერებზე

ტყიბულის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებაში მორიგი ფოსტა მოიღეს. ერთ-ერთ კონვერტზე სუფთად ნაწერი ასოებიდან ჩანდა, რომ იგი აქვე, ტყიბულიდან იყო გამოგზავნილი.

აი რა შინაარსის წერილი იდო შიგ:

— დღეს დავბრუნდი კისლოვოდსკის სანატორიუმიდან, სადაც 24 დღე დავისვენე და ჯანმრთელობა აღვიდგინე. მადლობა თქვენ, რომ ეს საგზური უფასოდ მომეცით. მაგრამ მე ძალზე დიდ, მხურვალე მადლობას გამოვთქვამ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიმართ, რომ ისინი არ ივიწყებენ ზრუნვას პენსიონერებისადმი, საერთოდ ადამიანებისადმი.

სანატორიუმში ძვირფასი მკურნალობა გამიწიეს. ესეც ჩვენი დღევანდელი ცხოვრების სიდიადეს ნიშნავს.

წერილს ხელს აწერდა ტყიბულის მკვიდრი, სამამულო ომის ინვალიდი, პენსიონერი ვლადიმერ არსენიძე, ვ. არსენიძე გამონაკლისი როდია. წელს 30-მდე პენსიონერმა, მათ შორის დამსახურებულმა მეშახტემ კ. ბოკორიშვილმა, ნ. ბაქრაძემ, სამამულო ომის მონაწილემ ს. ცოცანაშვილმა, ე. პოლოტაევამ და სხვებმა უფასოდ მიიღეს მენჯის, საირმის, წყალტუბოსა და სხვა სანატორიუმების საგზურები.

ტყიბულის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილება დეკემბერში პენსიონერებზე კიდევ გასცემს 10-მდე უფასო საგზურს.

ი. ქარქაშაძე.

ისევ შენთან, ჩემო თბილისო!

ჩვენი ინტერვიუ

საავტორო-საიუბილეო კონცერტების გასამართავად თბილისში სტუმრად ჩამოვიდა ცნობილი საბჭოთა კომპოზიტორი, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი, პროფესორი **არამ ხაჩატურიანი.**

არამ ხაჩატურიანი ერთ-ერთი პოპულარული კომპოზიტორია ჩვენს ქვეყანაში. მის შემოქმედებას კარგად იცნობენ და აფასებენ საზღვარგარეთაც. კომპოზიტორის მუსიკალური ნაწარმოებები გამოირჩევა მელოდიის დიდი ემოციურობით, ჰარმონიულობის ძალითა და მკაფიობით, საუცხოო ორკესტრული ჟღერადობით.

უაღრესად მდიდარი და მრავალფეროვანია არამ ხაჩატურიანის მუსიკალური პალიტრა. კომპოზიტორი წარმატებით მუშაობს თითქმის ყველა ჟანრში: სიმფონია იქნება ეს, ბალეტი თუ კამერულ-ინსტრუმენტული ნაწარმოები, ქმნის სიმღერებს, მუსიკას დრამატული სპექტაკლებისათვის, კინოფილმებისათვის.

ჩვენი სამშობლოს და საზღვარგარეთის მრავალი ქვეყნის საოპერო თეატრების, საკონცერტო დარბაზების, რადიოსა და ტელევიზიის მილიონობით მსმენელს დიდ ესთეტიკურ სიამოვნებას ანიჭებს არამ ხაჩატურიანის შესანიშნავი სიმფონიური ნაწარმოებები— პირველი და მეორე სიმფონიები, ვირტუოზული კონცერტები ვიოლინოსა და ვიოლონჩელოსათვის ორკესტრთან ერთად, კონცერტი ფორტეპიანოსათვის ორკესტრთან ერთად, ბალეტების „გაიანესა“ და „სპარტაკის“ მუსიკა და ბევრი სხვა მუსიკალური ნაწარმოები.

არამ ხაჩატურიანის საქმიანობა მარტო მუსიკალური მოღვაწეობით როდი შემოიფარგლება. გამოჩენილი კომპოზიტორი ამასთანავე ენერგიული საზოგადო მოღვაწეა, მშვიდობისათვის დაუცხრომელი მებრძოლია, ხშირად მონაწილეობს საკავშირო და საერთაშორისო კონფერენციების, ყრილობების, კონგრესების მუშაობაში.

სახელოვან კომპოზიტორს თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიაში შევხვდით — რეპეტიცია ჰქონდა დანიშნული სიმფონიურ ორკესტრთან და იმიტომაც მოსულიყო. ვიდრე მუსიკოსები რეპეტიციისათვის ემზადებოდნენ, ჩვენ არამ ხაჩატურიანს ვთხოვეთ რამდენიმე სიტყვა ეთქვა გაზეთ **„კომუნისტის“** მკითხველებისათვის.

— ძმერთმანი, საოცარი ხალხია ეს ჟურნალისტები!—ხუმრობით თქვა კომპოზიტორმა, — ისეთ დროს დაგესხმიან თავს და გასაქანს არ მოგცემენ, როცა რაღაც გეჩქარება. არა, ისე რომ ვთქვათ, კარგ დროს მოხვედით, — ღიმილით დაუმატა შემდეგ, — ახლა დრო ცოტა მაქვს და საუბარიც მოკლე გვექნება! უნდა გითხრათ, ეს ძალიან მაწყობს...

— მაშ, დავიწყოთ. ხუმრობა იქით იყოს და, გაზეთ „კომუნისტის“ მკითხველებისთვის ყოველთვის მცალია, ყოველთვის დიდი სიამოვნებით ვესაუბრებ მათთან თქვენი გაზეთის საშუალებით. მაგრამ, მაინც რა უნდა გითხრათ, რა იქნება ყველაზე საინტერესო თქვენი გაზეთის მკითხველებისათვის?!

— ჩვენს მკითხველებს, ქართველ მკითხველებს, თქვენი მუსიკის დამფასებლებს აინტერესებთ ყველაფერი, რითაც ცხოვრობთ თქვენ და თქვენი მშვენიერი მუსიკა, როგორია თქვენი შემოქმედებითი გეგმები, რაზე მუშაობდით ამ უკანასკნელ პერიოდში, რით გაახარებთ მუსიკისმოყვარულთ მომავალში.

— კეთილი!.. დამეთანხმებით, ყოველი ადამიანისათვის სასიხარულო და სასიამოვნოა იმ ქალაქში ხშირად ჩასვლა, სტუმრობა, სადაც იგი დაიბადა და ჰაპუკობა გაატარა, საიდანაც გამოვიდა დიდი ცხოვრების გზაზე. ასეთი ქალაქი ჩემთვის თბილისია, ჩემი მშობლიური ქალაქი.

დიახ. მე თბილისში, კოჯორში დავიბადე. მაგრამ ეს როდია მთავარი და ყველაფერი. როგორც მომავალი კომპოზიტორისათვის, ჩემთვის მთავარი ის იყო, რომ სწორედ თბილისში ვეზიარე პირველად ჰეშმარიტ მუსიკას, აქ ჩაიხატა და გაღვივდა ჩემს არსებაში სიყვარული მუსიკისადმი.

ახლა ყოველთვის სიამოვნებით ვიგონებ წარსულის ერთ საოამოს: 16 წლის ვიყავი. რაღაც ბედნიერმა შემთხვევამ თბილისის საოპერო თეატრში შემიყვანა. როგორც იქნა ერთი ბალეთი ვიშოვნე. სულ ზემოთ, „გალერეაზე“ ვიჯექი. მაშინ პირველად მოვისმინე ზაქარია ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“. ყმაწვილი მომხიბლა ამ დიდებულმა მუსიკამ. მას შემდეგ ბევრჯერ მომისმენია ეს ოპერა, დიახ, ჰეშმარიტად რომ მშვენიერი ქმნილებაა, მაგრამ იმ საოამოს შთაბეჭდილება დღემდე დამრჩა მეხსიერებაში.

მინდა ამ დღეებში ვესტუმრო ეახეთს, განსაკუთრებით თელავს, უნდა ჩავიდე მცხეთაში და, რა თქმა უნდა, აუცილებლად კოჯორში.

რაზე ვმუშაობ ახლა, რას დავწერ მომავალში? ვერ გეტყვით, ვწერ მუსიკას, სხვაგვარად არ შემიძლია, ეს ჩემი უპირველესი მოთხოვნილებაა. როცა დავამთავრებ, მაშინ გეტყვით, ყოველთვის მსურს კარგი რამ დავწერო, რომ ყველას მოგეწონოთ.

სხვა კიდევ რა უნდა გითხრათ?! ჰო, გთხოვთ ჩემი გულითადი სალამი გადასცეთ პატივცემულ გაზეთ „კომუნისტს“ მკითხველებს. მინდა ისიც გითხრათ, რომ ძალიან ჩავთვლი თავს, თუ ჩემი მუსიკა და შესრულება თბილისელებს მოეწონებათ.

• • •

23 და 25 ნოემბერს ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გაიმართება არამ ხაჩატურიანის საავტორო კონცერტები, რომლებიც მიძღვნილია კომპოზიტორის დაბადების 60 წლისთავისადმი.

კონცერტების პროგრამაშია ოთხი მუსიკალური ნაწარმოები: მეორე სიმფონია, კონცერტი ფორტეპიანოსათვის ორკესტრთან ერთად, მისსალმებელი უვერტიურა და რაფსოდია - კონცერტი. ეს უკანასკნელი ნაწარმოები თბილისში პირველად შესრულდება. სოლისტები არიან რსფსრ სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, პროფესორი **იაკობ ფლეიერი** და მეგობელითა საკავშირო და საერთაშორისო კონკურსების (მოსკოვი, ბრიუსელი, პარიზი, პრაღა) ლაურეატი **ვიქტორ პიკაიზენი,** შემსრულებელი — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სიმფონიური ორკესტრი. დირიჟორის პულტთან იქნება თვით ავტორი — კომპოზიტორი არამ ხაჩატურიანი.

ლ. კიკნაძე.

• • •

სურათზე: **არამ ხაჩატურიანი თბილისში.**

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

გამოფენა ახალციხეში

ახალციხე. (საკ. კორ.). თითქმის ყოველდღე ასობით მნახველი მოდის ახალციხის სარაიონო ბიბლიოთეკის დარბაზში. აქ საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ, მხატვართა კავშირმა და სახელმწიფო სურათების გალერეამ მოაწყეს ქართული სახვითი ხელოვნების გამოფენა, რომლის მიზანია რაიონის მშრომელებს გააცნოს ქართველ მხატვართა შემოქმედება.

რესპუბლიკურ მოძრავ გამოფენაზე წარმოდგენილია ფერწერის, გრაფიკისა და ქანდაკების ასამდე ნაწარმოები.

დამთვალიერებლები ინტერესით ეცნობიან ცხობილი ქართველი მხატვრების უჩა ჯაფარიძის, ლადო გუდიაშვილის, აპოლონ ქუთათელაძის, ქეთევან მაღალაშვილის და სხვათა ნაწარმოებებს.

ერთი კვირის განმავლობაში გამოფენა დაათვალიერა 10 ათასმა მშრომელმა.

ორის დავა მესამის სასარგებლოდ

ასეთი უჩვეულო ფუსფუსი სატურნირო ცხრილის გარშემო დიდი ხანია არ ყოფილა. ერთბაშად რამდენიმე კოლექტივი უტევს საპრიზო ადგილებს. თუ მოსკოვის „დინამოსა“ და „სპარტაკის“ მდგომარეობა ჰეშმარიტად სტაბილურია და მათ დავა მხოლოდ „ოქროსა“ და „ვერცხლზე“ აქვთ, სამაგიეროდ, სამ „დინამოს“ — მინსკის, კიევისა და თბილისისას ჯერ კიდევ გუშინდლამდე გადაწყვეტილი არ ჰქონდათ, თუ ვისთვის მიეკუთვნებინათ „ბრინჯაო“.

სწორედ ამ დავის ოვალსაზრისით პაექრობას თბილისსა და კიევის დინამოელთა შორის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა.

აი გუშინდელი მატჩის მოკლე მიმოხილვა — შესაძლებლობანი, წუთები, მომენტები. ბრძოლის პირველი წუთები თბილისელთათვის კარგს არაფერს მეტყველებდა, თითქმის ყველა ხაზსა და რგოლში იგრძნობოდა მოუწესრიგებლობა, ზედმეტი ნервიულობა.

ყოველივე ამას კიეველთა ტერიტორიული უპირატესობა და კარზე იერიშები მოჰყვა, მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა. თბილისელები თანდათან გამოფიზიკურდნენ და, როგორც იტყვიან, კალაპოტში ჩადგნენ. მასპინძელთა მთავარ მოიერიშე ჯგუფს წარმოადგენდა ფალანგები მესხისა და მეტრეველის მეთაურობით. სწორედ ეს ორი ფეხბურთელი ადვილად უსწორდებოდა ორ, ზოგჯერ სამ მცველს და სოლოვით იჭრებოდა საჯარიმო მოედანში, თუმცა იქ დამბმარე არავინ ჰყავდათ.

მაგალითისათვის მოვიყვანოთ ორი ასეთი მომენტი. მე-15 და 25-ე წუთებზე მარცხენა ფრთიდან მესხის ჩინებულ ფინტს და ზუსტ ჩაწოდებებს აშკარად ორი გოლი უნდა მოჰყოლოდა, მაგრამ ორივეჯერ 4-5 მეტრიდან მეკარის პირისპირ კალოევმა ბურთს ფეხი ააცილა.

მეორე ნახევარში ასპარეზობა უფრო შემოქმედებითი და მიმზიდველი გახდა, იმატა ტემპმა, კრიტიკულმა მომენტებმა. 48-ე და 54-ე წუთებზე კანევსკი და ბიბა ვერ აღმოჩნდნენ მზადყოფნაში, უხეირო დარტყმით მათაც დაკარგეს ორი რეალური შესაძლებლობა.

თბილისელთა ფალანგებს კიეველებმა „დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (კიევი) 1:0 (0:0). თბილისი. 20 ნოემბერი. „დინამოს“ სტადიონი. მსაჯი — ნ. ხლოპოტინი (მოსკოვი).

„დინამო“ (თბილისი) — კოტრიკაძე, სიჭინავა, ხუციელავა, ჩოხელი, ზეინკლიშვილი, იამანიძე, მეტრეველი, პეტრიაშვილი, კალოევი, ბარქია, მესხი; „დინამო“ (კიევი) — ბანიკოვი, სუჩკოვი, შჩეგოლკოვი, ოსტროვსკი, ვოინოვი, ტურანჩიკი, ბიბა, სერებრიანიკოვი (ბაზილევიჩი), კანევსკი, ტროიანოვსკი, ლობანოვსკი.

„დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (კიევი) 1:0 (0:0). თბილისი. 20 ნოემბერი. „დინამოს“ სტადიონი. მსაჯი — ნ. ხლოპოტინი (მოსკოვი).

„დინამო“ (თბილისი) — კოტრიკაძე, სიჭინავა, ხუციელავა, ჩოხელი, ზეინკლიშვილი, იამანიძე, მეტრეველი, პეტრიაშვილი, კალოევი, ბარქია, მესხი; „დინამო“ (კიევი) — ბანიკოვი, სუჩკოვი, შჩეგოლკოვი, ოსტროვსკი, ვოინოვი, ტურანჩიკი, ბიბა, სერებრიანიკოვი (ბაზილევიჩი), კანევსკი, ტროიანოვსკი, ლობანოვსკი.

ვერაფერი მოუხერხეს. 57-ე წუთზე მეტრეველი, რომელიც ხშირად იცვლიდა ადგილს, საჯარიმო მოედნის შუაგულში შეიჭრა და გადამწყვეტ მომენტში ჩინებულად მიაწოდა იქვე შერჩეულ ადგილზე მდგომ ბარქაიას. ამ უკანასკნელს იხლა დარჩა, რომ ანგარიში გაეხსნა.

კიეველებმა იერიშების გაძლიერების მიზნით სერებრიანიკოვის ნაცვლად მეტად სახიფათო ფორვარდი ბაზილევიჩი გამოიყვანეს და მხოლოდ კონტრთამაშზე ზრუნავდნენ. არც ამას მოუცია მათთვის სასურველი შედეგი.

უკანასკნელი წუთები სტუმართა კარზე იერიშების ქარაშხლით აღინიშნა, მაგრამ მეკარე ბანიკოვმა რამდენჯერმე სასწაულებრივად იხსნა კარი.

გაიმარჯვეს თბილისელებმა ანგარიშით 1:0. მაგრამ ამ დავით ყველაზე მეტად მოგებული დარჩა მინსკის „დინამო“, რომელმაც ბრინჯაოს მედლებისათვის ბრძოლაში ჩამოიშორა ყველაზე მრისხანე მეტოქე — კიევის „დინამო“.

ვ. გაბელია.

ანტარქტიდა, მეცხრე წელი

მოგვითხრობს ცნობილი პოლარელი ე. ი. ტოლსტიკოვი

მოსკოვი, (საკ. კორ.). ჩვენი ქვეყანა მალე გააცილებს ანტარქტიკული მეცხრე კომპლექსური ექსპედიციის მონაწილეებს. როგორია მისი გეგმა? ამაზე ილაპარაკა პრეს-კონფერენციაზე ჰიდრომეტეოსამსახურის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილემ საბჭოთა კავშირის გმირმა ე. ი. ტოლსტიკოვმა.

მიმდინარე წლის ექსპედიცია ანტარქტიდაში ორი გზით მიემგზავრება: გემებითა და თვითმფრინავებით. როგორც ცნობილია, სპაერო „ხიდი“ მოსკოვი-ანტარქტიდა უკვე გადო ორი წლის წინათ ანტარქტიდის პირველმა საბჭოთა ავიაექსპედიციამ.

ექსპედიციის ძირითადი ნაწილი მეექვსე კონტინენტზე გაემგზავრება ნოემბრის ბოლოს და დეკემბრის დამდეგს ორი გემით — „ობითა“ და „ესტონეთით“. ექსპედიციის ძირითადი მიზანია ანტარქტიდის ყველა საბჭოთა სადგურში გაშალონ კვლევის სამუშაოები მშვიდი მზის საერთაშორისო წლის პროგრამის მიხედვით, რომელიც 1964 წლის იანვრიდან იწყება.

რითი იქნება აღსანიშნავი მომავალი წელი მეექვსე კონტინენტის კვლევა-რთათვის? მნიშვნელოვნად გაფართოვდება საველე სამუშაოები. 1963-1964 წლების სეზონში შორ გზას გაუდგება ორი მუხლუხა-მარხილების მატარებელი. პირველი მათგანი მიზნად ისახავს შეიჭრას ანტარქტიდის უზარმაზარი „თეთრი ლაქის“ შუაგულში. რომელიც დედოფალ მოდის მიწის სამხრეთით მდებარეობს. ექსპედიცია ამ ადგილას მივა სადგურ ვოსტოკიდან შედარებითი მიუვალობის პოლუსის გავლით და მძიმე, სამი ათას კილომეტრი გზას სადგურ მოლოდიოჟნაიასთან დაამთავრებს. ძნელია ამ ლაშქრობის მნიშვნელობის ვაოიგარებებით [illegible] ... ეს ... ერ ... ბელი ... ერ ... ბელი ... ერ ... ბელი